# საერთო გაზეთი

№21 (571) • 22 ივლისი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ბიძინა ივანიშვილი, დედამიწაზე ჩამოტანილი სამოთხე და ახალი „რელიგია“ ბოროტთათვის







გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ დენდროლოგიურ პარკს ისეთივე უდიდესი მნიშვნელობა და ისეთივე ღირებულება აქვს საქართველოსთვის, როგორც ფიროსმანის ტილოებს, როგორც ვაჟა-ფშაველას პოეზიას, როგორც გუდიაშვილის ნახატებს, როგორც „ვეფხისტყაოსანს“.

ჩვენი ქვეყნისთვის უბედურება იქნება თუ „ნაცმოძრაობა“ და მისი მოკავშირეები თუნდაც იმ რაოდენობის წარმომადგენლობას შეინარჩუნებენ პარლამენტში, რაც ახლა აქვთ

## ერდოღანის ხომალდი აისბერგს ეჯახება, რამაც, შეიძლება, თურქეთი ნაწილ-ნაწილ დაშალოს

## ნაციონალური თვალით დანახული რეალობა ანუ დგაფან!

## გახსოვთ, მონებად რომ გყავდით, თეთრებო? ჰოდა, ახლა გადაგვიხადეთ კომპენსაცია, თორემ...

## ნეხვი ემზადება ნახტომისთვის!

## კორონავირუსი ან ომს ჩაანაცვლებს, ან კორონავირუსი ომამდე მიგვიყვანს

## გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა

სანამ არ აიკრძალება „ნაცმოძრაობა“ და მისი განშტოებები, მანამდე ჩვენი საზოგადოება ვერ შედგება, სახელმწიფო ფეხზე ვერ დადგება, გიორგი შაქარაშვილის მკვლელებიც არ დაისჯებიან და არც არჩევნებს ექნება აზრი...

## იქნებ ვინმემ დაარისხოს განგაშის ზარები!

სანამ უპატრონოდ დარჩენილი ადამიანები უპატრონო ძაღლებს არ დაუჭამიათ

## ვინ იყო პაპი პიუს XII – ნაცისტების მოკავშირე თუ წმინდანი?!

## „ს.გ“-ს იურიდიული კონსულტაცია

# „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგინება

20 ივლისს „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ შეკრება გაიმართა. შეკრებაზე მმართველმა გუნდმა თბილისსა და რეგიონებში მაჟორიტარობის კანდიდატები წარადგინა.

ცნობილია, რომ საარჩევნო სისტემის ცვლილების შემდეგ, 2020 წელს, საპარლამენტო არჩევნები 120/30 თანაფარდობით ჩატარდება, ამომრჩეველმა 30 დეპუტატი მაჟორიტარული წესით, ხოლო 120 პროპორციული წესით უნდა აირჩიოს.

წარდგინებას „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ბიძინა ივანიშვილი** ესწრებოდა.

**ბიძინა ივანიშვილი**: – „ის, რაც სრულიად ბუნებრივი იყო ჩვენი ხელისუფლებისთვის ამ წლების განმავლობაში, კრიზისის დროს უბრალოდ, უკეთ გამოჩნდა.



ჩვენმა ხალხმა უკეთ დაინახა, რომ ჰყავს მზრუნველი და ეფექტიანი ხელისუფლება, რომლისთვისაც ადამიანი და მისი სიცოცხლე ყველაზე ღირებულია. ასეთი იყო „ქართული ოცნება“ და ასეთად დარჩება ყოველთვის.

დარწმუნებული ვარ, საპარლამენტო არჩევნებში,, ქართული ოცნება“ კვლავ დამაჯერებლად გაიმარჯვებს.

მადლობა ჩვენს ეპიდემიოლოგებსა და ექიმებს, მადლობა „ქართული ოცნების“ გუნდს, რომელმაც თავდაუზოგავად იმუშავა და ქვეყანა დიდ განსაცდელს აარიდა.

განსაკუთრებული მადლობა ჩემს ხალხს, რომელმაც მაღალი საზოგადოებრივი კულტურა აჩვენა, ენდო ხელისუფლებას და მის გარშემო გაერთიანდა.

ჩვენ ყველამ ერთად შევიტანეთ წვლილი იმაში, რომ საქართველოს დღეს ვირუსისგან თავისუფალ, მწვანე ზონად მოიხსნიებენ.

განათლება და ეკონომიკური კეთილდღეობა – სწორედ ეს იქნება „ქართული ოცნების“ სამოქმედო გეგმა და მიზანი მომდევნო წლების განმავლობაში.

საქართველომ, ბოლო რვა წლის განმავლობაში, შეინარჩუნა მშვიდობა, სტაბილურობა და დამსახურებულად ჩაეწერა უსაფრთხო ქვეყნების მოწინავე რიგებში.

მუდამ ერთგული ვართ ევროპული და ევროატლანტიკური კურსის, რომელიც ქართველი ხალხის ურყევმა ნებამ განაპირობა და რომელიც ჩვენი სახელმწიფოს ფუნდამენტია.

ჩვენ მშვიდობიანად, ნდობის გაჩენის, შერიგებისა და პატივისცემის აღდგენის გზით, უნდა შემოვაბრუნოთ ჩვენკენ აფხაზი და ოსი ძმები.

ჩვენ ისეთი ხელისუფლებაც გვყოლია, რომელმაც თავისი უგუნურობით ისიც კი ვერ მოახერხა, რომ ქვეყნისთვის აეცილებინა კრიზისი და არათუ დაიცვა მოსახლეობა განსაცდელისაგან, არამედ ბედის ანაბარა მიატოვა ხალხი.

გვახსოვს, როგორ გარბოდნენ ზოგიერთები ბრძოლის ველიდან, და ქვეყნიდანაც კი. ეს ის ტრავმაა, რომელიც ჯერაც არ მოუშუშებია ჩვენს ხალხს.

კვლავაც ერთად ვიაროთ ჩვენი ერთიანი და ძლიერი, ჩვენი საოცნებო საქართველოსკენ!

კვლავაც ერთად საქართველოს წარმატებისთვის!“

მაჟორიტარული კანდიდატები შემდეგნაირად განაწილდა:

**თბილისში:**

**საბურთალო – დავით სერგეენკო**. 2012–2019 წლებში ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი, ამ დრომდე პრემიერის მრჩეველი ჯანდაცვის საკითხებში.

**ვაკე – ნოდარ ტურძელაძე**. ვაკის რაიონის მოქმედი გამგებელია, ის 2015 სექტემბერი-ნოემბერი – ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილე იყო, ხოლო 2014–2015 მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

**გლდანი – ლევან კობიაშვილი**. კობიაშვილი გლდანის მოქმედი მაჟორიტარი და 2015 წლიდან ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია.

**სამგორი – სოზარ სუბარი**. სოზარ სუბარი 2012–2014 წლებში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი იყო, 2014 წლიდან კი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი; ამ დრომდე ის პრემიერის მრჩევლის პოზიციას იკავებს.

**ისანი – კახი კახიშვილი**. 2015 წელს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი იყო, 2018–2019 წლებში კი მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი; 2019 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი.

**მთაწმინდა-კრწანისი – ბექა ოდიშარია**. კრწანისის ოლქის მოქმედი მაჟორიტარი დეპუტატი. ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი 2016 წლიდან.

**ნაძალადევი – მიხეილ ყაველაშვილი**. ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი 2016 წლიდან.

**დიდუბე-ჩუღურეთი – გია ვოლსკი**. ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი 2012 წლიდან. ამჟამად პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა.

**რეგიონებში:**

ზუგდიდი – **ირაკლი ჩიქოვანი**; ფოთი, ხობი, სენაკი – **ირაკლი ხახუბია**; მარტვილი, ჩხოროწყუ, აბაშა, წალენჯიხა – **ალექსანდრე მოწერელია**; რუსთავი – **ნინო ლაცაბიძე**; მარნეული, გარდაბანი – **ზაურ დარგალი**; ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა – **გოგი მეშველიანი**; ქუთაისი – **ზაზა ლომინაძე**; სამტრედია, ვანი-ხონი, წყალტუბო – **გივი ჭიჭინაძე**; საჩხერე, ჭიათურა, ხარაგაული – **პაატა კვიჟინაძე**; ზესტაფონი, ბაღდათი, თერჯოლა, ტყიბული – **ბექან წაქაძე**; გორი, კასპი – **გიორგი ხოჯევანიძე**; ხაშური, ქარელი – **ზაზა დუგლაძე**; ამბროლაური, ონი, ლენტეხი, ცაგერი – **გოჩა ენუქიძე**; ახალციხე, ადიგენი, ბორჯომი, ასპინძა – **ანტონ ობოლაშვილი**; ახალქალაქი, ნინოწმინდა – **სამველ მანუკიანი**; ბათუმი – **რესან კონცელიძე**; ქობულეთი – **ზაალ ნიკოლაძე**; ხულო, შუახევი, ქედა – **ანზორ ბოლქვაძე**; მცხეთა, დუშეთი, ყაზბეგი, თიანეთი – **შალვა კერესელიძე**; ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური – **ვასილ ჩიგოგიძე**; თელავი, ახმეტა, ლაგოდეხი, **ყვარელი – ირაკლი ქადაგიშვილი**; გურჯაანი, საგარეჯო, სიღნაღი, დედოფლისწყარო – **დავით სონღულაშვილი**.




„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ბიძინა ივანიშვილი, დედამიწაზე ჩამოტანილი სამოთხე და ახალი „რელიგია“ ბოროტთათვის

ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ გაგვაოცა თავისი ახალი შედევრით — დენდროლოგიური პარკით შეკვეთილში, რომელიც დედამიწაზე ჩამოტანილ სამოთხეს ჰგავს.

ბიძინა ივანიშვილის მიერ ხორცშესხმულ პროექტებს რომ ვიხსენებ, ვრწმუნდები: ეს კაცი მეცენატი, ქველმოქმედი და ბიზნესმენი კი არ არის მხოლოდ, ის ნამდვილი შემოქმედია, რომელიც, მართალია, არ წერს ლექსებს, არ ხატავს, მაგრამ, სინამდვილეში, პოეტიც არის და მხატვარიც, რომელიც საოცარ შედევრებს ქმნის.

იმდენად დახვეწილი, ნატიფი და გრაციოზულია გარემო, რომელიც აქ გხვდება, თუ შინაგანად პოეტი და მხატვარი არა ხარ, ამ გარემოს ვერ შექმნი, ვერ შეთხზავ, ვერ გარითმავ...

თითქოს ირეალურ, მისტიკურ სამყაროში ხარ და შენს ადგილს შენს მნიშვნელობას, შენს პასუხისმგებლობას ამ საოცარი სამყაროს მიმართ, სულ სხვანაირად იაზრებ.

დენდროლოგიური პარკი შეკვეთილში გამონაკლისი არ არის — მთელი საქართველო ბიძინა ივანიშვილის სხვადასხვა ჟანრის შედევრებით არის მოფენილი.

ამ შედევრების ფონზე რაოდენ მდაბიური, სამარცხვინო და სასაცილო ჩანს ის ქირდვა და კილვა, რომელსაც მავანნი და მავანნი ივანიშვილის მისამართით აღავლენენ ხოლმე.

●

როგორი ბოროტი უნდა იყო და როგორ არ უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა რომ ადამიანი, რომელსაც ამდენი სიკეთე აქვს გაკეთებული შენი ქვეყნისთვის, ასე გძულდეს და დღედაღამ იმაზე ფიქრობდე, როგორ გალანძღო, როგორ დააკნინო, როგორ დაასუსტო, როგორ დაამარცხო?

იმაზე დიდი უბედურება რა არის, როცა ეგოიზმი, ამპარტავნება, ძალაუფლებისკენ ლტოლვის მანიაკალური სურვილი ისე დაგაბრმავებს, რომ ვერ გრძნობ და ვერ ხვდები, ბიძინა ივანიშვილს კი არა, საკუთარ ქვეყანას რომ ებრძვი, საკუთარ ქვეყანას რომ მოკიდებიხარ მოსისხლე მტრად?

სხვა დროსაც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: როცა კითხვას ასე სვამ: რაში მაინტერესებს, რაღაც-რაღაცებს რომ აშენებს, პირადად მე რა გამიკეთა ბიძინა ივანიშვილმაო, ეს ნიშნავს, რომ პირადად შენ არ გრძნობ თავს ამ ქვეყნის მოქალაქედ, თორემ მიხვდებოდი ეს სამების ტაძარიც, ეს დენდროლოგიური პარკიც, ეს „ბლეკსი არენაც“, ეს ამდენი სკოლა და თეატრი სწორედ რომ შენ აგიშენეს, შენს შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს აუშენეს, იმ შენს შთამომავლებს აუშენეს, რომლებიც საუკუნეების შემდეგ უნდა მოვიდნენ.

ის, რასაც ივანიშვილი აკეთებს, არ არის მხოლოდ ქველმოქმედება, ეს არის კარგად გათვლილი და გაანგარიშებული ქვეყნის განვითარების, ქვეყნის აღმშენებლობის კონცეფცია, ეს არის სწორედ სტრატეგია აღმაშენებელი, რომელზეც პატარა ვაშაძე ზეპირსიტყვიერად ჟღურტულებს, ივანიშვილი კი საქმით ახორციელებს.

●

საქართველოში ახალი „მორალი“ მკვიდრდება — აუცილებლად უნდა ლანძღო და უნდა აგინო მას, ვინც სიკეთე გაგიკეთა.

განსაკუთრებული ხალისით და ენთუზიაზმით ამას ბიძინა ივანიშვილის მისამართით აკეთებენ.

თითქოს თავს ვალდებულად თვლიან, მოიხადონ „წმინდათაწმინდა ვალი“ და აუცილებლად ტალახის გუნდა ესროლონ კაცს, რომელიც გაჭირვების დროს უყოყმანოდ დაუდგა გვერდით მას, მის ოჯახს მის სააxლობლოს.

ეს რაღაც ახალი „რელიგიაა“, ახალი სექტაა, რომელიც უზნეობით, უსირცხვილობით, უტიფრობით გაკვირვებს და გაშინებს კიდეც — შეიძლება ადამიანი ასეთი სულმდაბალი, უმადური და უზნეო იყოს?



გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ დენდროლოგიურ პარკს ისეთივე უდიდესი მნიშვნელობა და ისეთივე ღირებულება აქვს საქართველოსთვის, როგორც ფიროსმანის ტილოებს, როგორც ვაჟა-ფშაველას პოეზიას, როგორც გუდიაშვილის ნახატებს, როგორც „ვეფხისტყაოსანს“.



ერთი პოლიტიკოსი ტელეეკრანიდან ყვებოდა, როგორ დაკარგა ხმა, როგორ აიძულა მერე ბიძინა ივანიშვილმა საზღვარგარეთ წასულიყო სამკურნალოდ, როგორ დაუფინანსა მკურნალობის ხარჯები და როგორ დაუბრუნდა ხმა.

იჯდა ახლა ეს ტიპი და ივანიშვილის მიერ დაბრუნებული ხმით ივანიშვილს ლანძღავდა და არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა.

ბიძინა ივანიშვილის ლანძღვის „მამულიშვილურ საქმეში“ ერთი პოეტის ქალიშვილი აქტიურობს ბოლო ხანებში ნამეტნავად — ბიძინა მაოხრებელიო, ბიძინა ასეთი და ისეთიო, ბიძინას რუსულ ორბიტაზე გაჰყავს ჩემი ქვეყანა და ამას როგორ ვაპატიებო.

არადა, ამ „ბიძინა მაოხრებელს“ იმდენი ამაგი აქვს პოეტის ქალიშვილის ოჯახზე, მამამისზე, მის ძმაზე, ენა როგორ უნდა მოუტრიალდეს მის კეთილისმყოფელზე ამდენი ბოღმა და გესლი ანთხიოს.

ეს მაინც ვერ ჩერდება, ვერ ოკდება და რუსეთი და ბიძინაო, ჩაუხვევია.

რა რუსეთი და ბიძინა აგიკვიატებია, ქალბატონო, მაშინ როცა მთელი შენი საგვარეულო რუსეთს და საბჭოთა კავშირს ემსახურებოდა.

სააკაშვილის ბაბუა 37-იან წლებში „უღმერთოთა კავშირის“ თავმჯდომარე რომ ბრძანდებოდა, ბაბუაშენის ძმა ცეკას მდივანი იყო და მოდიოდით ასე ხელიხელჩაკიდებული დიდ საბჭოეთთან ერთად და საბჭოეთის მიერ ბოძებული ყველა პრივილეგიით სარგებლობდით.

რაც შეეხება პოეტის ქალიშვილობას, მამის სახელს ისე დიპლომატიურად გაურევთ ხოლმე თქვენს მკვახე პოლიტიკურ განცხადებებში, თითქოს ვიღაცას აფრთხილებდეთ — არაფერი შეგეშალოთ, მე ამა და ამ პოეტის ქალიშვილი ვარო.

კარგით რა, კარგით რა, მამათქვენზე გაცილებით ნიჭიერი პოეტებიც ვიცით, ჩვენ, რომლებსაც თქვენზე ნაკლები შვილები არ დარჩენიათ, მაგრამ მათ არავინ შეუწუხებიათ — არიან თავისთვის წყნარად და მოკრძალებულად და არავის არაფერს სთხოვენ.

თქვენი ისეთი რა ვალი აქვს საქართველოს, რომ აქამდე ვერა და ვერ გადავიხადეთ და თქვენი ამბიციები ვერ დავაკმაყოფილეთ.

ამასწინათ განსაცდელში ჩავარდნილ კიდევ ერთ ადამიანს გაუმართა ხელი ბიძინა ივანიშვილმა და საზღვარგარეთ ხანგრძლივი და ძვირადღირებული მკურნალობის ხარჯები მთლიანად თავის თავზე აიღო.

სანამ ეს უბედურება დაემართებოდა, ეს ადამიანი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ ივანიშვილის მისამართით შეურაცხმყოფელი ფრაზები არ ესროლა.

ახლა ცუდადაა. ვერ ლაპარაკობს, მაგრამ ექიმებს იმედი აქვთ, რომ მალე გამოჯანმრთელდება და მეტყველების უნარიც დაუბრუნდება.

ეს კარგია, თუმცა მეშინია, ენას რომ ამოიდგამს, ეგრევე ივანიშვილის გინება არ დაიწყოს.

ახალი „მორალის“, ახალი „რელიგიის“ მიხედვით, სავარაუდოა, რომ ასე მოიქცევა…

●

მრავალ ქებულ თვისებათა შორის კიდევ ერთი საოცარი პიროვნული თვისება აქვს ბიძინა ივანიშვილს — არასოდეს რეაგირებს უმადურებზე და უმადურობაზე, არასოდეს ღიზიანდება.

სხვას მის ადგილზე, ამდენი უმადურობით გულნატკენს და გაბრაზებულს, შეიძლებოდა ხელი ჩაექნია და — დამანებეთ თავი, მაინც ვერაფერი დაგანახეთ და შემეშვითო — ეთქვა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს საყვედურის ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია არასოდეს — მშვიდად და აუღელვებლად აკეთებს იგივეს, რასაც აქამდე აკეთებდა.

ასე მხოლოდ ძალიან დიდბუნებოვან, ძალიან კეთილშობილ ადამიანს შეუძლია მოიქცეს, რომელიც სიკეთეს იმიტომ კი არ აკეთებს, რომ ვინმემ დაუფასოს ან მადლობა უთხრას, არამედ იმიტომ, რომ სიკეთის კეთება მისი ცხოვრების წესია, მისი შინაგანი ვალდებულება და მოთხოვნილებაა.

●

ქართველი ერი თავის სიმაღლეზე რომ იყოს, ვიღაც სალახანები და ვიგინდარები ბიძინა ივანიშვილზე აუგის თქმას ვერ უნდა ბედავდნენ.

ვფიქრობ, ეს ჩვენი სირცხვილია, მე ვიტყოდი,ეროვნული მასშტაბის სირცხვილი.

ჩვენი ისტორიის მანძილზე ჩვენ ასეთ სირცხვილებს ბევრჯერ შევგუებივართ, მერე კი მწარედ გვინანია, რადგან დრო გასულა და ეს ყველაფერი დიდ უბედურებად მოგვტრიალებია უკან.

უზნეობასთან შეგუება, უზნეობასთან კომპრომისი ერის სულსა და გონებას ალპობს და აჭაობებს.

განა მხოლოდ პერსონალურად ბიძინა ივანიშვილს აყენებენ შეურაცხყოფას ეს ბოროტი ძალები, თითოეულ ქართველს, თითეულ ჩვენგანს აფურთხებენ სულში და ცინიკურად გვეუბნებიან: ვინც ყველაზე დიდ სიკეთეს გიკეთებთ, იმას გაგილანძღავთ და ხმას ვერ ამოიღებთ. ვინც თქვენი ყველაზე დიდი მოამაგე და ჭირისუფალია, იმას ვესვრით ტალახს და ვერ დაიცავთ. ვინც სამების ტაძარი აგიშენათ, ვინც ეს დენდროლოგიური პარკი გაგიშენათ, ვინც უამრავჯერ გიხსნათ განსაცდელისა და გაჭირვებისგან, იმას დავესევით ბუზანკალებივით და ვერ გამოექომაგებით. რა ხალხი და რა ქვეყანა ხართ თქვენ ყოველივე ამის შემდეგ?

აი, ასე წვეთ-წვეთად აყალიბებენ ჩვენში არასრულყოფილების კომპლექსს, უღონობის, უილაჯობის, სიბეჩავის, უთავმოყვარეობის სინდრომს, რომ მერე საკუთარი ხელით დაგვანგრევინონ საკუთარი ქვეყანა და საკუთარი ხელით გაგვათხრევინონ საკუთარი საფლავი.

მართლაც რა ხალხი და რა ქვეყანა ვართ ჩვენ, ამას რომ ვერ ვხვდებით?

●

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ დენდროლოგიურ პარკს ისეთივე უდიდესი მნიშვნელობა და ისეთივე ღირებულება აქვს საქართველოსთვის, როგორც ფიროსმანის ტილოებს, როგორც ვაჟა-ფშაველას პოეზიას, როგორც გუდიაშვილის ნახატებს, როგორც „ვეფხისტყაოსანს“.

**ვახტანგ ხარჩილავა**

# ჩვენი ქვეყნისთვის უბედურება იქნება თუ „ნაცმოძრაობა“ და მისი მოკავშირეები თუნდაც იმ რაოდენობის წარმომადგენლობას შეინარჩუნებენ პარლამენტში, რაც ახლა აქვთ

*გვესაუბრება „სოციალ-დემოკრატები — საქართველოს განვითარებისთვის“ თავმჯდომარე, პარლამენტარი გია ჟორჟოლიანი:*

**— ბატონო გია, უკვე ვიცით, რა სისტემით ჩატარდება 2020 წლის არჩევნები. თქვენ, მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებთ. რამ განაპირობა ეს გადაწყვეტილება, რა მოლოდინები გაქვთ?**

— ჩვენ, ეს გადაწყვეტილება დიდი ხნის წინ, დაახლოებით, სამი წელია რაც მივიღეთ. 2012 და 2016 წლებში არჩევნებში „ქართულ ოცნებასთან“ ერთად ვმონაწილეობდით. 2012-დან 2016 წლამდე ვცდილობდით ის შეხედულებები, ხედვები, რაც გვაქვს ცხოვრებაში გაგვეტარებინა და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელება დაწყებულიყო. ნაწილობრივ, ეს მოხერხდა 2012 წლის შემდეგ. 2013 წლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა და ა.შ.



ჩვენი აქტიური მონაწილეობით შემუშავდა რეგიონული განვითარების ხედვა. მეტიც, ჩამოყალიბდა სახელმწიფო კომისია ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით. კომისიის მიზანი იყო ის, რომ რეგიონების მიხედვით, ქვეყნის განვითარების გეგმები შემდგარიყო. ეს დოკუმენტი შემუშავდა, პირველი სხდომაც შედგა, მაგრამ სამწუხაროდ, ყველაფერი ამით დამთავრდა. 2016 წლის შემდეგ დავინახეთ, რომ ამ ძალისხმევას შედეგი არ მოჰქონდა და გადავწყვიტეთ დამოუკიდებლად მოგვეპოვებინა საზოგადოების მხარდაჭერა და უკვე გაძლიერებულებს პარლამენტში ან უმრავლესობისთვის მიგვეღწია ან დიდი ნაწილი გვეიძულებინა ჩვენი ხედვებისთვის მხარი დაეჭირათ. დღეს, ჩვენი სტრატეგია სწორედ ეს არის: პარლამენტში ისეთი წარმომადგენლობა გვქონდეს, რაც პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენას შეგვაძლებინებს. მარტივად, ეს ასე ჟღერს — ან უმრავლესობა უნდა გვქონდეს, ან საკმარისი ძალა, რათა უმრავლესობამ ჩვენს გარეშე გადაწყვეტილება ვერ მიიღოს და მას კომპრომისზე წამოსვლა ვაიძულოთ.

**— თუ უმრავლესობა არ გექნათ, ვისთან შეიძლება ითანამშრომლოთ?**

— დღევანდელ ვითარებაში ილუზიაა იმის მტკიცება, თითქოს, მესამე ძალა არსებობს. ეს ტყუილია. ვფიქრობ, ხმების დიდ ნაწილს კვლავ „ქართული ოცნება“ მოიპოვებს, მაგრამ უმჯობესია ისეთი უმრავლესობა არ ჰქონდეს რომ უპირობოთ, მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებებით მიიღოს და განსაზღვროს ქვეყნის პოლიტიკა. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ, შევძლებთ „ქართულ ოცნებასთან“ ვითანამშრომლოთ. ვფიქრობ, კოალიცია არა, მაგრამ გვექნება ერთგვარი ვეტოს უფლება, რათა მან ჩვენი თანხმობის გარეშე გადაწყვეტილებები ვერ მიიღოს. ჩვენ, პარლამენტში 10–15% უნდა გვქონდეს, რათა ზეგავლენა მოვახდინოთ და ის პოლიტიკა გავატაროთ, რაც ქვეყანას განავითარებს.

**— რა პოლიტიკაა ეს?**

— ეს პოლიტიკა არის, პირველ რიგში, ეკონომიკის და მასში მაღალი შრომის ნაყოფიერების მქონე სექტორის — ინდუსტრიის განვითარება. ასევე, სოფლის მეურნეობის, პირდაპირ, ინდუსტრიასთან მიბმა, ანუ, ისეთი სოფლის მეურნეობის განვითარება, სადაც ჩვენს ფერმერს, გლეხს იმის დარდი არ ექნება, რომ მის მიერ მოწეული მოსავლის რეალიზება გაუჭირდება. შემდეგი ეტაპია: ლოჯისტიკა, სასაწყობო მეურნეობები, ხარისხის ლაბორატორიები და რაც მნიშვნელოვანია, ექსპორტის ხელშეწყობა. საქართველო პატარა ქვეყანაა და თუ ექსპორტზე ვერ გავედით, ეფექტური სოფლის მეურნეობა არ გვექნება. გარდა ამისა, უნდა აღორძინდეს თანამედროვე ინდუსტრია, მათ შორის, ისეთი სექტორები, რომელთა საფუძველიც არსებობს. მაგალითად, საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია საავიაციო მრეწველობა, რომელსაც ძალიან მაღალი გადადინების ეფექტი აქვს. თუ აკეთებ თვითმფრინავს, გააკეთებ უთოსაც, მაცივარსაც და ა.შ., მაგრამ პირიქით, ვერ მოხდება. ამას სჭირდება შესაბამისი განათლებისა და მეცნიერული კვლევების პოლიტიკა, რაც პრაქტიკულად, ჩვენთან არ კეთდება. რა თქმა უნდა, საქართველოში არიან მეცნიერები, მაგრამ ისინი, ძირითადად, უცხოეთის ქვეყნების განვითარებისთვის მუშაობენ, ჩართულნი არიან მნიშვნელოვან პროექტებში, როგორც უცხოეთში, ასევე, საქართველოში. უმაღლესი განათლების სისტემაც სწორედ ამაზეა დამოკიდებული. დღეს ტექნიკური უნივერსიტეტი უფრო მეტ ჰუმანიტარს უშვებს, ვიდრე ინჟინერს. სამწუხაროდ, ხარისხი ეცემა. 20–25 წელია მთელ რიგ სფეროებში სერიოზული კვლევები არ ჩატარებულა. ეს ყველაფერი დამოკიდებულია ეკონომიკაზე. ყოველგვარი განათლების რეფორმა წყალში ჩაიყრება თუ ქვეყანაში მაღალი დონის ცოდნის მოთხოვნილება არ იქნება. ასეთი რამ რომც იყოს ეს მოხმარდება გერმანიის, აშშ-ს, შვეიცარიის ეკონომიკას და ა.შ., საქართველო კი ჩამორჩენილ ქვეყნად დარჩება. ყველა პოტენციალი გვაქვს, რათა განვითარებული ქვეყანა გავხდეთ. ჩვენ, ძალიან მაღალი ტრადიციული კულტურა გვაქვს. ამ მძიმე პირობებში, თუნდაც, კორონა ვირუსის დროს საკმაოდ მაღალი შედეგები მიიღწა, ექიმებმაც ეფექტურად იმოქმედეს. გახარიამ მენეჯმენტი ეფექტურად განახორციელა. ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა უფრო დიდი ღირსების გამო, რაც ჩვენს ქვეყანას გააჩნია. მხოლოდ ეს ადამიანები ვირუსის დამარცხებას ვერ შეძლებდნენ. ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენი ხალხი, ამ საკითხს, ძალიან გონივრულად მიუდგა. ჩვენ, ტრადიციულ კულტურას უნდა დავეყრდნოთ. ამ მხრივ, რეგიონში ერთ-ერთ წამყვან ადგილს ვინარჩუნებთ. საქართველო უნდა გახდეს განვითარებული ქვეყანა. ეს არის ჩვენი ამოცანა და არა ის, რომ რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციამ თქვას: ბიზნესის კეთების რეიტინგი მაღალიაო. ამ ორგანიზაციების მიერ დადებული რეიტინგები ჩვენს გარდა, არავის აინტერესებს. სადაც სერიოზული რეიტინგები და ანალიზი ქვეყნდება, იქ, ძალიან მძიმე მდგომარეობა გვაქვს. ეს წრე უნდა გავარღვიოთ, რასაც მხოლოდ „ქართული ოცნება“ ვეღარ მოახერხებს.



**— როგორ ფიქრობთ, რა შეიცვლება 2020 წლის არჩევნებით? აშკარაა, რომ მომავალ პარლამენტში კვლავ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალების“ ხილვა და მათი კინკლაობის მოსმენა მოგვიწევს. ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს?**

— ჩვენი ქვეყნისთვის უბედურება იქნება თუ „ნაცმოძრაობა“ და მისი მოკავშირეები თუნდაც, იმ რაოდენობის წარმომადგენლობას შეინარჩუნებენ პარლამენტში, რაც ახლა აქვთ. მათი საპარლამენტო მოღვაწეობა მინიმუმამდე უნდა დავიდეს. ჩემი ნება რომ იყოს, ამ ჯგუფებს პოლიტიკურ ასპარეზზე საერთოდ არ დავუშვებდი. ეს არის უბედურება რაც ამ ქვეყნის განვითარებას აფერხებს. ჩვენ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ „ნაცმოაძრაობის“ ხელისუფლებაში წარმომადგენლობა მინიმუმზე დავიდეს. ამისათვის ჩვენ ძალიან მჭიდროდ ვითანამშრომლებთ „ნაცმოძრაობის“ მოწინააღმდეგე ყველა ძალასთან, მათ შორის, საარჩევნო პერიოდში. მაგალითად, მაჟორიტარულ ოლქებში „ნაცების“ მოწინააღმდეგეთა ხმები თუ გაიყოფა, ეს მათ წისქვილზე დაასხამს წყალს, ხომ. ამიტომ, ჩვენ ისე ვიმუშავებთ, რომ ყველაზე უფრო რეიტინგული კანდიდატი ვინც იქნება, მან მიიღოს მეტი ხმა. საქართველოში ჩვენს გარდა ასეთი პარტიაა „ქართული ოცნება“, „პატრიოტთა ალიანსი“ და ა.შ. მაგრამ ვიმეორებ, თუ „ქართული ოცნება“ მმართველობის უპირობო ბერკეტებს შეინარჩუნებს, ეს დამღუპველი იქნება. დიახ, ეს იქნება დაუმთავრებელი კინკლაობა „ნაცმოძრაობასთან“. წარმოიდგინეთ, ყოველდღე აჩვენო დახაუ, ოსვენციმი, სხვა საკონცენტრაციო ბანაკები და ილაპარაკო: ხედავთ, რას აკეთებენო. ამ დროს, გერინგი, ჰიმლერი, თავად ჰიტლერიც ან პარლამენტში იყვნენ ან პოლიტიკურ ასპარეზზე. ვისი ბრალია, რომ ამ რვა წლის მანძილზე ეს საკითხი დამთავრებული არ არის. ჩვენი ხომ არა?! მე, უბრალოდ, სიტუაციას აღვწერ. თუ ეს ხალხი ასეთი საშინელია, მაშინ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მათი პოლიტიკიდან ჩამოსაშორებლად და არა მუდმივად ვიკინკლაოთ და ვიძახოთ: ცუდი ხალხი არიანო. მოდი, შენ გააკეთე უკეთესად. მაგრამ ამას ვერ აკეთებს „ქართული ოცნება“, მისი რესურსი ამოწურულია. რა თქმა უნდა, დღეს, საკითხის ასე დაყენება: მოდი, მრავალპარტიული მმართველობა გავაკეთოთო, სისულელეა. არავითარი მრავალპარტიული მმართველობა საქართველოში არ იქნება. წამყვან ადგილს, კვლავ, „ქართულმა ოცნება“ შეინარჩუნებს. ივანიშვილი როგორც წამყვანი პოლიტიკური ფიგურა, მეტ-ნაკლებ სტაბილურობას უზრუნველყოფს. მაგრამ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ერთპიროვნული და უპირობო მმართველობა აღარ უნდა იყოს. ეს არის ჩვენი ამოცანა. ერთადერთი სწორი პოლიტიკა, რომელიც ქვეყანას ამ მდგომარეობიდან გამოიყვანს, არის სოციალ-დემოკრა-



ტიული პოლიტიკა. შესაბამისად, ყველა ადამიანისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ამ განვითარებაში ჩართვის შესაძლებლობა. ყველა ადამიანს უნდა გააჩნდეს საარსებოდ საჭირო ნორმალური პირობები ანუ, დასაქმებამ, სოციალურმა დახმარებამ ადამიანს ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობა უნდა მისცეს. ხელფასი, ცოდნის მიღება და ჯანდაცვა არის აუცილებელი სამი კომპონენტი, რათა ადამიანმა საკუთარი თავის რეალიზება მოახდინოს. ეს სამი რამ არ უნდა იყიდებოდეს, არამედ ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ჩვენი ეკონომიკა სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს, ხოლო სოციალური პოლიტიკა მოემსახურება ეკონომიკას და შექმნის კომპეტენტურ, უნარიან ადამიანებს, რომლებიც ამ ეკონომიკას განავითარებენ. ესენი ცალ-ცალკე არ არსებობენ. ამ ვითარებაში ჩვენი ამოცანაა ხმების მაქსიმალური რაოდენობა მივიღოთ, რათა აღნიშნული პოლიტიკა განვახორციელოთ. ჩვენ, ვიცით ვის ველაპარაკოთ უცხოეთში, ვისი ცოდნა და რჩევები გამოვიყენოთ და შესაბამისად, ქვეყანა განვითარების გზაზე დავაყენოთ. საკმარისი ძალა თუ არ გვექნა, ამის გაკეთებას შევძლებთ იმ პოლიტიკურ ჯგუფებთან ერთად, ვინც „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკის რადიკალური მოწინააღმდეგეა. „ქართული ოცნება“ კი ამბობს, რომ „ნაცმოძრაობის“ რადიკალურად წინააღმდეგია, მაგრამ ეკონომიკურ პოლიტიკაში, მთელ რიგ სფეროებში იგივე პოლიტიკას ახორციელებს, რაც „ნაცების“ დროს იყო. აქვე, დავსძენ: განვითარებისთვის საჭიროა თანასწორობა. ჩვენ უნდა შევქმნათ განვითარების, კეთილდღეობის შესაძლებლობა ყველასთვის და არა ცოტასთვის. ამას აუცილებლად დასჭირდება იმ შემოსავლების გარკვეული გადანაწილება, რაც ამჟამად არსებობს. დღეს, საქართველოში ძალიან ვიწრო ჯგუფს აქვს მაღალი შემოსავლები, ხოლო დიდ ნაწილს — დაბალი. მაგალითად, გვინდა ვისაც 500 ლარამდე შემოსავალი აქვს, გადასახადები შევუმციროთ, გავუნახევროთ, მაგრამ 5 ათასი ლარის ზემოთ, გავზარდოთ. მთელ მსოფლიოში ასეა. მარტო ბენდუქიძე და საკაშვილი აღმოჩნდნენ ჭკვიანები ასეთი სისტემა რომ ჩააბეტონეს?! აი, ეს პრობლემები დგას ქვეყნის წინაშე. ამ არჩევნებს დიდი როლი აკისრია — ამ უპასუხისმგებლო პოლიტიკური ელიტის ბატონობა უნდა დამთავრდეს. ეს, სინამდვილეში, უმცირესობის წარმომადგენელი ელიტის ბატონობაა. უმრავლესობა უმცირესობის დიქტატურის ქვეშაა. 90% 1%-ის კარნახით ცხოვრობს. ეს 90% არის უხმო, ანუ, ირჩევს ადამიანებს, რომლებიც მათ ინტერესებში არსებულ პოლიტიკას არ ატარებენ. ეს უნდა დამთავრდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვითარება გაუარესდება. ვიმეორებ, პირველი ამოცანაა „ნაცმოძრაობის“ მინიმიზება, მეორე — „ქართული ოცნების“ უფლებების შეზღუდვა, რათა მას უპირობო მმართველობა არ ჰქონდეს და მესამე — „სოციალ-დემოკრატებმა“ რაც შეიძლება მეტი ხმები მივიღოთ, რათა ის პოლიტიკა გავატაროთ, რაზეც ზემოთ ვისაუბრე.

**— სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, დიდია იმ ადამიანთა რაოდენობა რომელთაც ვერ გადაუწყვეტიათ ვის დაუჭირონ მხარი. ეს რიცხვი, დაახლოებით, 40%-ს აღწევს. მათ არც „ქართული ოცნება“ მოსწონთ და არც „ნაცებისკენ“ უკან დაბრუნება სურთ. არ ჩანს ძალა, რომელიც ამ ხალხს ახალ იდეებს შესთავაზებს. თქვენ, ამ იდეებს, გამოსავალს სთავაზობთ. ეს იდეები იმ 40%-ისთვის ვისაც არჩევანი ჯერ არ გაუკეთებია, მისაღებია. ხომ არ გიცდიათ ამ იდეების „ქართული ოცნებისთვის“ შეთავაზება?**

— ზოგადად, კვლევების მეთოდოლოგია ძალიან მოიკოჭლებს იმიტომ, რომ ეს სხვა ტიპის საზოგადოებების გამოსაკვლევად არის შექმნილი. ჩვენ, შესაბამისი ცოდნა არ გვაქვს. ქართველი არ ყოფილა არც ვებერი, არც ბურდიე, არც სოროკინი. ისინი სხვა საზოგადოებებს იკვლევდნენ. ჩვენი









საზოგადოების შესახებ ძალიან მწირი ცოდნა გვაქვს. ამიტომ ის ინსტრუმენტები, რაც სოციოლოგიური გამოკითხვისთვის გამოიყენება, ადეკვატური არ არის. მე თუ მკითხავთ, მოსახლეობის 50%-ს ვერ გადაუწყვეტია რა არჩევანი გააკეთოს. მეტიც, ვისაც გადაწყვეტილება მიღებული აქვს, ეს იმიტომ ხდება, რომ სხვა ალტერნატივას ვერ ხედავს. ალტერნატივა არ ჩანს იდეების არარსებობის გამო. ჩვენ, განსხვავებული ხედვა გვაქვს, მაგრამ ადამიანები ასე უყურებენ: არჩევნები მხოლოდ იდეები არ არის, სხვა რესურსებიც საჭიროა. ეს ადამიანები ხედავენ, რომ ჩვენ შეგვიძლია ეს ადგილი დავიკავოთ. საზოგადოება ამბობს: მე, ამა თუ იმ პარტიის იდეები მომწონს, მაგრამ მათ არ აქვთ ფული, ტელევიზია, რათა საკუთარი მოსაზრებები ხალხს ფართოდ გააცნოს. ამიტომ არის ეს ხალხი გადაუწყვეტელი. იყო შემთხვევები, როცა ჩვენი იდეები აიტაცეს, მაგრამ არ განხორციელდა. გარდა ამისა, ძირითადი ეკონომიკის მართვა ძალიან ვიწრო კლანური ჯგუფების ხელშია. ესენი არიან ბანკები და მსხვილი იმპორტიორები, რომლებიც ამ სისტემას ერგებიან, ფლობენ სიტუაციებს. ზოგიერთ შემთხვევაში ვცადე და ლაპარაკმა რომ არ გაჭრა, პარლამენტში პირდაპირ კანონპროექტები შევიტანე, თუმცა მხარდაჭერა არ ჰქონდა. ეს თანამშრომლობა უფრო ეფექტური იქნება, თუ ჩვენ ძალა გვექნება და მმართველი პარტია იძულებული იქნება ჩვენი მოსაზრებები გაითვალისწინოს. ამიტომ, რაც უფრო მეტი ვიქნებით, მით მეტად გავიტანთ იმ იდეებს, რაც ქვეყანას ჩიხიდან გამოიყვანს. ჩვენ უკვე 30 წელია ძალიან რთულ გეო-პოლიტიკურ ვითარებაში ვართ. პანდემიის მერე, ეს ვითარება, კიდევ უფრო გართულდება. საბჭოთა კავშირის დანგრევის მერე, ბოლო 30 წელში, ჩამოყალიბდა სისტემა: დასავლეთის ლიდერი, ძირითადი ჰეგემონი, მეტ-ნაკლებად, აშშ იყო. ეს ეპოქა მთავრდება. აშშ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, პრაქტიკულად, ეკონომიკური სიძლიერით წამყვანი ქვეყანა ხდება. მას ლიდერის პოზიცია ჰქონდა. დღეს, ეს ვითარება, იცვლება. ყოველდღიურად, ბოლო ორი კვირის განმავლობაში, აშშ-ში, საშუალოდ, 70 ათასი ადამიანი კორონათი ინფიცირდება. საქმე მარტო ამაში არ არის. ეს წესრიგი მანამდეც შეირყა. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, ჩნდება ახალი დიდი ძალა ჩინეთის სახით. რუსეთი, რასაკვირველია, იმ ადგილს ველარ დაიბრუნებს, რაც საბჭოტა კავშირს ჰქონდა. დღეს, ბევრი ანალიტიკოსი და მეცნიერი აშშ-ს ისე ხედავს, როგორც საბჭოთა კავშირის ბოლო წლებს.







ზოგიერთები უფრო შორსაც მიდიან და რომის იმპერიის ბოლო ეტაპებს ხედავენ. მე არ მგონია ისეთი კატაკლიზმები მოხდეს რომ ვითარება ერთ-ორ წელში შეიცვალოს, მაგრამ იგი, აუცილებლად, განიცდის ცვლილებას. ასე აღარ იქნება, რომ რომელიღაც „ფრონტერას“ დაქირავებული ტეხასელი კონგრესმენი, რომელიც იმდენად არაადეკვატურია, ტეხასში ყოველდღიურად ათი ათასი ადამიანი ინფიცირდება და იგი ამ დროს 8 მარტის შეთანხმებაზე წერილებს აცხობს. ეს ამბავი დამთავრებულია. ეს მხოლოდ ჩვენთან ჰგონიათ, რომ ასეა. ეს წერილები არსად ქვეყნდება. არც ამერიკაში და არც სხვაგან, არამედ პირდაპირ აქაურობისთვის იწერება, რათა ეს უვიცი ხალხი შეაშინონ. მე, წინა მოწვევის პარლამენტში, თითქმის, ყოველთვე ბრიუსელში დავდიოდი. იქ, არ მინახავს „რუსთავი-2“-ის გარდა არცერთი ტელევიზია. ასე არ გახლავთ, თითქოს, იქ, რომელიღაც დეპუტატი რაღაცას იტყვის და მთელი მსოფლიო იმას უსმენს. ესენი სუყველა ძალიან იდეოლოგიზირებული, ფობიებით შეპყრობილი პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლობა არიან. აბა, ვინმემ მანახოს, გერმანიის, საფრანგეთის ელჩი რას ლაპარაკობს. რომელიღაც ლიტველი დეპუტატი რას იტყვის, ამას ვუსმინოთ?! საბჭოთა კავშირს ორჯერ მეტი ჯარი ჰყავდა, ვიდრე ლიტვის მოსახლეობაა. მათი არ მეშინოდა, „ეროვნულ მოძრაობაში“ ვიყავი და ახლა, კუბილიუსის შემეშინდება, რომელიც გვმოძღვრავს: სააკაშვილს დაუჯერეთ, ჩემი მეგობარია, პოროშენკოს მრჩევლად მომაწყოო. თავის თავს მიხედოს. ასე, რომ ეს ცხოვრება, ეს 30 წელი უნდა შევცვალოთ. სერიოზული დიდი კონფლიქტები ჩვენთვის დიდ ხიფათს ქმნის, თუნდაც, ჩვენ ორ პატარა მეზობელს შორის არსებული მწვავე ვითარება. წარმოიდგინეთ, რეგიონში მსხვილი კონფლიქტები რომ დაიწყოს. ამიტომ, მშვიდობისმოყვარე, პრაგმატული, რაციონალური, არაიდეოლოგიზირებული პოლიტიკა უნდა წარვმართოთ. ჩვენთან არიან ვიღაცები ვინც ან ტრამპის მომხრეა ან მოწინააღმდეგე. საქართველოს მივხედოთ, რა.

**— პოლიტიკური ისტებლიშმენტი, თითქოს, გაყოფილია ორ პოლუსად — პრო-დასავლელები და პრო-რუსები. ამ დროს, ეს პრო-დასავლური ძალები ძალიან ჰგავს პრო-რუსებს. „ევროპის სახალხო პარტია“ პირდაპირ რუსეთის მოკავშირე და „ნაცების“ მხარდამჭერია. ამ დროს, ივანიშვილს ემახიან პუტინის მოკავშირეს.**

— ეს შიდა მოხმარების მანიპულაციის ინსტრუმენტია. გასაგებია, რომ ამ მეთოდებს „ნაცმოძრაობა“ და მისი მოკავშირეები გამოიყენებენ. ამ მხრივ, კრიტიკა ეკუთვნის „ქართულ ოცნებას“, რომელსაც აქვს რესურსები, ტელევიზიები და ვერ მოახერხა ამ დემაგოგიის დანგრევა. მეტიც, იგი ამ თამაშში შესულია და მიდის კინკლაობა. სინამდვილეში რაშია საქმე: ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ ეს ყველაფერი მარტო შიდა მოხმარებისაა. წეღან ვახსენე, რომ ბრიუსელში „რუსთავი-2“-ის მეტი ტელევიზია არ მინახავს. რაც შეეხება „სახალხო პარტიას“. მისი წევრი არის, მაგალითად, გერმანიის „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი“ ანგელა მერკელის ხელმძღვანელობით. ტყუილია, თითქოს, „სახალხო პარტიამ“ და მერკელმა იმსჯელეს და მათ მიერ გამოგზავნილი რაღაც წერილი, შეთანხმებულია. ის აპარატი თავისთვის მუშაობს. რეალურად, საქართველოში ხალხში ასეთი განწყობაა: რა თქმა უნდა, კონფლიქტების საკითხი, სეპარატისტული რეგიონები არის ის თემა, რაც რუსეთის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს კრიტიკულად განაწყობს. მაგრამ ამავე დროს დიდ ნაწილში არსებობს იმის გაგება, რომ ეს პრობლემა ჩვენ მეზობლებთან სტაბილური და პრაგმატული ურთიერთობების დალაგების გარეშე და მათ შორის, რუსეთთან რაღაც დონის გარკვეულობების შექმნის გარეშე, ვერ გადაწყდება. ამას ხალხი ხედავს და ამიტომ არის ორგვარი გაწყობა. სოციოლოგიურ გამოკითხვებში, რა თქმა უნდა, ქვეყნის დამზიანებლად რუსეთი სახელდება. თუ იკითხავთ: როგორ დავალაგოთ ეს საქმე? — ამბობენ, რომ ეს უნდა მოხდეს მშვიდობიანად, უნდა ველაპარაკოთ ჩვენს თანამემამულეებს, პრაგმატული ურთიერთობა ავაწყოთ რუსეთთან და ა.შ. რომელიღაც სახელმწიფო, მუდმივად, 25 წელიწადია რუსეთის მოქმედებას გმობს, მაგრამ ჩვენ ხომ ამით არაფერი გვეშველება. ისინი ერთმანეთშიც არკვევენ საკითხებს. ის, რომ აქ, არის პრო-დასავლური და პრო-რუსული პოლიტიკური ძალები, ეს სისულელეა. „პატრიოტთა ალიანსა“ პრო-რუსულობას მიაწერენ, ეს ასე არ არის. გაცხადებული პარტია, რომელიც მართლა პრო-რუსული გახლდათ, მისი პიარ-სამსახურის ხელმძღვანელი მაქარაშვილი იყო. ეს რომ მანიპულაციისთვის ხდება, ხომ ფაქტია. ერთი სტატია დავწერე: დასავლეთისა და უცხოელი მეგობრების შესახებ. ჯერ ერთი, ისეთი დასავლეთი რაც აქ არის წარმოდგენილი, არ არსებობს. სინამდვილეში, თითქოს, „ქართული ოცნება“ პრო-რუსულია და „ნაცმოძრაობა“ პროდასავლური, ეს სისულელე უნდა დამთავრდეს. „სოციალ-დემოკრატები“ რუსოფობიული პარტია არ ვართ. კარგად გვესმის: დასავლეთი რა არის. სოციალ-დემოკრატია დასავლური ფენომენია. დიდი დემაგოგიაა იმის თქმა, თითქოს, ივანიშვილს უნდა რუსეთის მონა იყოს. რატომ უნდა მინდოდეს ვინმეს მონა ვიყო? ეს ხომ იდიოტიზმია?

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა






**ის სისაძაგლეები და გაუგონარი დანაშაულებები, რაც ხდებოდა მთელი 9 წლის განმავლობაში საქართველოში, სანამ ერთხმად არ დაიგმობა, სანამ სამუდამოდ არ დადუმდებიან 9-წლიანი ჯოჯოხეთის მომწყობები და უფრო ადრინდელი მკვლელები, მოროდიორები, მძარცველები, სანამ კიდევ იყელყელავებენ ტელევიზიებიდან და ჭკუას დაგვარიგებენ დამნაშავეები, სანამ არ აიკრძალება „ნაცმოძრაობა“ და მისი განშტოებები, მანამდე ჩვენი საზოგადოება ვერ შედგება, სახელმწიფო ფეხზე ვერ დადგება, გიორგი შაქარაშვილის მკვლელებიც არ დაისჯებიან და არც არჩევნებს ექნება აზრი...**

დაუნდობლად მოკლულ გიორგი შაქარაშვილს, ჩვენს პატარა „შაქარას“, არა მხოლოდ მისი ოჯახის და ახლობლების, არამედ მთელი საქართველოს ცრემლი და გულისტკივილი გაჰყვა სამარადისო სამყოფელში, ჩვენ კი დაგვრჩა კითხვები: როგორ შვილებს ვზრდით ჩვენ, რატომ არიან ისინი ასეთი სასტიკები?!

მაპატიეთ, მაგრამ, სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, მანამდე იმ კითხვას უნდა ვუპასუხოთ — ვინ ვართ თავად ჩვენ?

სამწუხაროდ, ჩვენ ის თაობა ვართ, რომლებმაც 80–90-იან წლებში — დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარ-ჯოსო, ვიძახეთ. მერე, ეს დამოუკიდებლობა რომ მოვიპოვეთ, თბილისი მივლეწ-



მოვლეწეთ, ქვეყანა ცეცხლით გადავბუგეთ და გაუგონარი სისასტიკით ვხოცეთ ერთმანეთი. 90-იანი წლების სამოქალაქო ომის დროს დაღუპულები შავ-თეთრი ფოტოებიდან, დააკვირდით, რა ყმაწვილები იყურებიან, რა წრფელი სახეები აქვთ და როგორი სიცოცხლისმოყვარე მზერა...

მოკლედ, ეს ხოცვა-ჟლეტა არ ვიკმარეთ და სამეგრელოსკენ გავქანდით — დედას შვილი მოვუკალით, მერე ამ შვილს თვალი ამოვთხარეთ და დედას გადავაყლაპეთ, მამას თვალწინ 15 წლის გოგო გავუუპატიურეთ, მხატვარ კაცს მარჯვენა მოვაჭერით ნაჯახით და ეს კაცი სატვირთო მანქანაზე შევაგდეთ... ამ ამბავში დადგა 2003-ი და ისევ ჩვენივე ხელით ვხოცეთ და ვგუდეთ გაზით თბილისელები და რეგიონიდან ჩამოსული ქართველები 26 მაისს, 7 ნოემბერს, ციხეში გვამებზე გადავაბით „სკოჩებით“ ჩვენი ბიჭები და ასე ვამყოფეთ კვირაობით — პატიმრები, ოთხ კედელში გამომწყვდეული ჩვენი თანამოძმეები, კაცები ვაუპატიურეთ, ხან ასე, ხან — ისე — „დუბინკით“, ბოთლით, სარით... ოჯახები ამოვბუგეთ სვანეთში, აფრასიძეებს იმდენი ტყვია დავახალეთ, ხორცი მიწიდან ცალ-ცალკე აკრიფეს მეზობლებმა დასამარხად, ნავთლუღში 18–19 წლის ბიჭები დავხოცეთ, მათმა მშობლებმა მითხრეს მერე — ტვინიც კი ამოცლილი ჰქონდათ მიცვალებულებსო...

რამდენი ჩამოვთვალო?

მავანი იტყვის, რაც თქვი, იქედან არც ერთი მე არ გამიკეთებიაო.

არც მე გამიკეთებია, ძვირფასო მეგობრებო, მაგრამ ეს გააკეთა ჩვენმა თაობამ, ჩვენს გვერდით მყოფმა, ჩვენმა თანამოძმემ, ჩვენი საზოგადოების წევრებმა. ასეთი არნახული ამბები სწორედ ჩვენს თვალწინ მოხდა და ასეთ ამბავში ჩვენ სად გვეცალა ახალგაზრდების, შვილების აღზრდისთვის?!

ვერ მოვიცალეთ, ვერ გავზარდეთ, ვერ აღვზარდეთ და ახლა ჩვენს თვალწინ ვხედავთ თვითმკვლელ და ერთმანეთის მკვლელ თაობას, რომლებსაც არათუ ეცოდება, მკვდარი ან შვილმოკლული, არამედ, სამწუხაროდ, ხშირად ეჯავრება თავისიც და სხვისი მშობელიც — ამდენი არნახული სისასტიკეების ჩამდენი, თვითმხილველი და მდუმარე...

ჩვენ ულმერთოდ და უსამშობლო გავზარდეთ თაობებიო, ვამბობთ, მაგრამ ჩვენ თავად გვქონდა ღვთის შიში უფლის ნაბოძები აფხაზეთი, კოდორი, ცხინვალის რეგიონი რომ გავყიდეთ და ჩავაბარეთ?! ეს პასუხისმგებლობა მარტო მიშას კი არა, მთელ თაობას და ეპოქას ეკისრება.

გვქონდა ღვთის შიში „ბოროტების საძმო“, „კულინარიელები“ და სხვა მკვლელი რაზმები ოჯახებს რომ ჟლეტდნენ?

აბა, ჩვენ თუ არ გვქონდა, ჩვენს შვილებს როგორღა ექნებათ?

ხოდა, ახლა რომ გვტკივა, დამსახურებული სასჯელია ეს და სანამ უფრო დიდი უბედურება არ მოსულა, გონს რომ მოვეგოთ, მგონი, აჯობებს.

მე არ ვიცი და არც ერთ არგუმენტით არ შემიძლია ვთქვა ან ვამტკიცო, რომ გიორგი შაქარაშვილის მკვლელებს, დიახ, მკვლელებს, ვინმე ხელს აფარებს რომელიმე უწყებიდან, მაგრამ საზოგადოება, იმ ინციდენტში მონაწილე ახალგაზრდების მშობლები და ახლობლები, დღემდე რომ ცდილობენ დამნაშავეები მართლმსაჯულებას აარიდონ, ხომ ცხადია?!

გამოდის, რომ ქართული საზოგადოება კვლავ იმ სისხლიან გზას ადგას, რასაც 30 წელზე მეტია მიუყვება — ბოლმაში, ბალღამში, სისხლში და შურში გახვეული საზოგადოება.

სამწუხაროა, რომ არც დედების ხმა ისმის და არც ეკლესიის. ამ უკანასკნელის მოღვაწეობის სრული ფიასკო ჩანს, თუნდაც მარტო შაქარაშვილის ტრაგედიაში — ვისთვის შენდება ამდენი ეკლესია-მონასტერი, ვისთვის ფართოვდება ეპარქიები და რისთვის მშვენდება, ვინ უნდა ილოცოს იქ, თქვენ, დედებო და მამებო, რომლებმაც მკვლელი შვილები გაზარდეთ, ულმერთო შვილები გაზარდეთ და ახლაც არ გინდათ უფლისკენ მიბრუნება, მონანიება და სიმართლის გამოააშკარავება თუ მკვლელმა შვილებმა, რომლებსაც იმდენად არ ეშინიათ ღვთის, რომ მართლმსაჯულებას სურთ თავი დააღწიონ და ისევ ძველებურად იპარპაშონ ქალაქ-ქალაქ, აქ, ან საზღვარგარეთ...

თქვენ, ვინც მკვლელებს ხელს აფარებთ, ეს ნიშნავს, რომ უფლის არც თქვენ გეშინიათ და მერე ამბობთ: ვაი, ვაი, ჩვენ შვილებს საღვთო სჯული სკოლაში არ უსწავლიათ და იმიტომ არიან ასეო. კი, მაგრამ, ვინ ამოიღო საღვთო სჯული სკოლის პროგრამიდან, ვინ გადააგდო სანაგვეზე „დედაენა“, ვინ გასწირა საკუთარი შვილები ულმერთობისთვის, სისასტიკისთვის, უსიყვარულობისთვის, ვინ თუ არა თქვენ, დედებო და მამებო, თქვენ უფროსო თაობავ, დიახ, ჩვენ, მე და შენ გავაკეთეთ ეს.

ქვეყნიდან, ოჯახიდან გავიქეცით საჭმელის და ტანსაცმელის საყიდლად და დღეს ეს ახალგაზრდები ცხვირში და მუცელში საყურეგარჭობილი, ერთმანეთის სისხლზე დაგეშილი, გაბოროტებული, სქესშეცვლილი თაობა რომ დადგა ჩვენს თვალწინ, მაინც არ გვინდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ დავუშვით შეცდომა, დავუშვით არაერთხელ და კიდევ და კიდევ ვიმეორებთ...

ის სისაძაგლეები და გაუგონარი დანაშაულებები, რაც ხდებოდა მთელი 9 წლის განმავლობაში საქართველოში, სანამ ერთხმად არ დაიგმობა, სანამ სამუდამოდ არ დადუმდებიან 9-წლიანი ჯოჯოხეთის მომწყობები და უფრო ადრინდელი მკვლელები, მოროდიორები, მძარცველები, სანამ კიდევ იყელყელავებენ ტელევიზიებიდან და ჭკუას დაგვარიგებენ დამნაშავეები, სანამ არ აიკრძალება „ნაცმოძრაობა“ და მისი განშტოებები, მანამდე ჩვენი საზოგადოება ვერ შედგება, სახელმწიფო ფეხზე ვერ დადგება, გიორგი შაქარაშვილის მკვლელებიც არ დაისჯებიან და არც არჩევნებს ექნება აზრი...

სამართალი და სამართლიანობა არის საძირკველი, რაზეც შენდება სახელმწიფო, რომელმაც ვერ დაიცვა გიორგი შაქარაშვილი, პატარა ბიჭი, რომელიც ცემა-წამებაში მოკლეს, მერე ექსპერტიზამ იკვლია მის სხეულში სიმართლე და ახლა საზოგადოება კლავს და ჯიჯგნის მას კიდევ ერთხელ, იმით, რომ დუმს, პირში წყალს იგუბებს და სახლის კარებს მაგრად რაზავს — გიორგი მოკვდა, მაგრამ ჩვენს შვილებს ნიავი არ მივაკაროთო.

თუ ამ ამბავს გავუჩუმდით, გიორგის და მისი დედის ტრაგედია ყველას მიაკაკუნებს და მერე კარის ჩარაზვას აზრი აღარ ექნება.

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ვეფხი და მოყმის ბალადა შეიქმნა, სადაც ვეფხვის დატორილი ვაჟის დედა ამბობს: „იქნება ვეფხის დედაი ჩემზედ მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე სამძიმარ ვუთხრა ჭირისაო“. რომელი დედა გამოვიდა და მოიბოდიშა ან მოინანია და საჯაროდ უთხრა სამძიმარი გიორგის დედას, ბუტა რობაქიძის დედას, გიორგი გამცემლიძის დედას, ირინა ენუქიძეს, ვახტანგ ნოდიას დედას, ნავთლუღის ბაზართან უმოწყალოდ ჩახოცილი ბიჭების დედებს..?

არავინ!

ყველა დუმს, ყველა თავის გამოზრდილ მკვლელ შვილს უფრთხილდება.

ეს დუმილი დაგვღუპავს და წაგვლეკავს ჩვენ...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# ერდოღანის ხომალდი აისბერგს ეჯახება, რამაც, შეიძლება, თურქეთი ნაწილ-ნაწილ დაშალოს



*გვესაუბრება „იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ დამფუძნებელი ბესო მიქავა:*

**— ბატონო ბესო, ჩვენს მკითხველს კარგად ემახსოვრება თქვენი ნათქვამი, თურქეთი მალე დაიშლება, მას დიდი დღე არ უწერიაო. ერდოღანმა აია სოფიას ქრისტიანული ტაძრის, რომელიც მუზეუმის ფუნქციას ატარებდა, მეჩეთად გადაკეთება გამოაცხადა. ეს არ ნიშნავს, რომ თურქეთი მსოფლიოს ძალას აჩვენებს? ე.ი. კი არ იშლება, ძლიერდება, ასე არაა?**



— მომისმინეთ, ჩემო კარგო. ვიცი, სპეციალურად დამისვით ეს შეკითხვა და მინდა მოგახსენოთ — არც ერთი პროგნოზი არ გამიკეთებია დოკუმენტებზე და ანალიზზე დაყრდნობის გარეშე და შესაბამისად, არც ერთი ჩემი პროგნოზი არ გამომდგარა ტყუილი.

ახლაც ვიმეორებ და სხვათა შორის, უფრო თავდაჯერებულადაც, რომ თურქეთის დაშლა გარდაუვალია.

თქვენ ახსენეთ ერდოღანი და მისი ბოლოდროინდელი მკვეთრი ნაბიჯი.

სწორედ ერდოღანის დამსახურებაა ის, რომ თურქეთის დაშლის პროცესი დაჩქარდება.

მხატვრულად რომ წარმოვიდგინოთ: ერდოღანი არის გემის, ანუ თურქული სახელმწიფოს კაპიტანი, მმართველი, რომელიც ეჯახება აისბერგს. აისბერგის ზედა ნაწილი არის აია სოფიას ტაძარი, ხოლო ქვედა ნაწილი გახლავთ სოლომონის ტაძარი იერუსალიმში, რომელზეც დაშენებულია ალ აქსას მუსლიმანური მეჩეთი.

როგორც იცით, ებრაელების ოცნებაა აღადგინონ სოლომონის ტაძარი მესამედ.

ებრაელებმა მუსლიმანებს თავის დროზე შესთავაზეს მეჩეთის გადატანა ნებისმიერ ადგილას — ჩვენ ყველანაირად დაგეხმარებით და გადაიტანეთ მეჩეთიო, მაგრამ უარი მიიღეს.

სოლომონის ტაძრის მშენებლობა, რაც ებრაელი ხალხის საუკუნებრივ ოცნებას წარმოადგენს, ვერ აშენდება, თუკი მეჩეთი არ მოშორდება იქაურობას.

ებრაელები ნებისმიერ დროს გაუკეთებდნენ დემონტაჟს მეჩეთს, მაგრამ ეს გამოიწვევდა მთელი მუსულმანური და არა მარტო მუსულმანური სამყაროს რისხვას. ამიტომ ერდოღანს გარკვეულმა ძალებმა დაუდეს „ტიტანიკი“, რომლის ქვედა ნაწილი — წყალქვეშა მეჩეჩი, ვერ გაითვალისწინა და მიაღებინა თურქულ სასამართლოს აია სოფიას მეჩეთად გადაკეთების გადაწყვეტილება.

როგორც კი განცხადება გააკეთა ერდოგანმა ამ გადაწყვეტილების შესახებ, უახლოეს დღეებში ებრაელებმა გამოაცხადეს ომარის მეჩეთის გაუქმების შესახებ, როგორც „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ“.

თუ ერდოღანს აქვს უფლება მოლები შეიყვანოს იქ, სადაც იოანე ნათლისმცემლის თავია დამარხული, ებრაულ სასამართლოს რატომ არ აქვს უფლება სოლომონის ტაძარზე ქუდივით წამოკოკოლავებული მეჩეთი გააუქმოს?!

ებრაელები ელოდნენ შესაფერის მომენტს, ხოლო რაც შეეხება თურქეთს, მას არაფერი არ ეშველება, სანამ ერდოღანი იქნება მისი მმართველი.

რეჯებ თაიფ ერდოღანმა არა მხოლოდ ებრაული სამყარო, არამედ ლიბერალური სახელმწიფოებიც კი გადაიმტერა — მან მუზეუმის განადგურებით დააანონსა, რომ მუსლიმანურ სახელმწიფოს აყალიბებს, რაც პირდაპირ ნიშნავს იმას, რომ მას პრეტენზიები აქვს მსოფლიო მუსულმანობის ცენტრი თურქეთში იყოს, ხოლო თვითონ, ასევე, მსოფლიო ლიდერი გახდეს და მის ირგვლივ მოიყაროს თავი მუსულმანურმა სახელმწიფოებმა.

**— მუსლიმანური სამყარო თანახმა იქნება ამაზე?**

— ჯერ ერთი, ამით ის უპირისპირდება მუსლიმან ლიდერებს მსოფლიოში და მეტიც, ებრაელები ისრაელში მყოფ მუსულმანებისთვის მეტად მნიშვნელოვან მეჩეთს ისე მოისვრიან, როგორც „პივის ჩეკს“ და რა ხასიათზე დადგება მერე მსოფლიო მუსულმანობა და რა პასუხს გასცემს მათ ერდოღანი, ვნახოთ.

აქვე გეტყვით, ცნობილია, რომ სოლომონის ტაძარი ჰირამმა ააგო. ის იაფეტიდი გახლდათ და იყო ტირიის მეფე. სოლომონის ტაძრის აგებისთვის საჩუქრად ჰირამმა ქალაქი გალილეია მიიღო — იმ ხანებში დაუსახლებელი ადგილი. ჰირამმა იქ თავისი ერი დაასახლაო, მითითებულია ბიბლიაში. გალილეაში იშვა ჩვენი უფალი. ხოლო გალილევლები, ანუ იაფეტის შთამომავლები, უძველესი კოლხი ხალხის შთამომავლები რომ არიან, ეს უკვე მეცნიერულად არის დამტკიცებული.

არსებობს ქართული სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც მიუთითებენ სოლომონის ტაძრისა და სვეტიცხოვლის არქიტექტონიკის მსგავსებაზე.

სოლომონის ტაძარი აუცილებლად აღდგება, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის გაბრწყინების დროც მოახლოებულია.

**— მაგრამ აქ თურქეთი რა შუაშია?**

— გადახედეთ რეგიონში მიმდინარე პროცესებს.

აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტი პროვოცირებულია. ჩემი ღრმა რწმენით, ფაშინიანიც და ალიევიც შეთანხმებული იყვნენ რუსეთის ფედერაციასთან, რომ ამ კონფლიქტს გააღრმავებდნენ.

ერდოღანმა მაშინვე დაუჭირა მხარი აზერბაიჯანს და განაცხადა, რომ მზად არის სამხედრო ძალით დაეხმაროს აზერბაიჯანს. ეს ნიშნავს, რომ ერდოგანი ღიად დაუპირისპირდა რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებს.

აქედანაც გამომდინარეობს, რომ თურქეთის საქმე სასიკეთოდ არ ვითარდება, ხოლო საქართველო რამდენად გონივრულად მოიქცევა ამ სიტუაციაში, ჩვენი მომავლისთვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს...

**— თურქეთი ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყანაა. საჭიროების შემთხვევაში, ალიანსი მას გვერდით არ დაუდგება?**

— როგორც ჩანს, რუსეთიც და აშშ-ის ადმინისტრაციაც შეთანხმებულია თურქეთის გაწირვაზე, რადგან ერდოღანს ცრუ ამბიციები გაუჩნდა და ყველას გაცურება მოინდომა.

თურქეთი უკვე გაწირულია. იქ მაცხოვრებელი ხალხები გადანაწილდებიან თავთავიანთ ისტორიულ მიწებზე — ბერძნები საბერძნეთის ძველ ტერიტორიას მოითხოვენ, ქურთები თავიანთ ფართო ავტონომიას შექმნიან, ქართველებს თავისი ტერიტორიები დაუბრუნდება თავისი მოსახლეობით და ა.შ.

გაიხსენეთ, წმინდა ბერ პაისის აქვს ნაწინასწარმეტყველევი: როდესაც თურქეთი აია სოფიას მუსლიმანურ ტაძრად გადააკეთებს, მაშინ დაიწყება თურქეთის დაშლაო.



თურქეთი უნიკალური სახელმწიფოა თავისი შემადგენლობით. ის მიტაცებულ ტერიტორიაზე, დამონებული ხალხების მიწაზე აგებული ერთადერთი სახელმწიფოა, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა კათოლიკურმა ევროპამ.

ხმელთაშუა ზღვა მსოფლიოს ერთ-ერთი საკვანძო ადგილია, როგორც ეკონომიურად, ასევე გეოპოლიტიკურად.

დღევანდელი თურქეთი ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზეა აღმოცენებული, ანუ კონსტანტინოპოლის ტერიტორიაზე, ადგილზე, სადაც 7 მართლმადიდებლური საეკლესიო კრება გაიმართა. ამ კრებაზე გადაწყდა მართლმადიდებლური სამყაროს ცხოვრების წესები და ის, რითაც საზრდოობს დღემდე მართლმადიდებლობა.

თურქეთის სახელმწიფოს მხარდაჭერით კათოლიკურმა სამყარომ საბოლოოდ განახორციელა თავისი გეგმები — ძველი კონსტანტინოპოლის მაგივრად მუსლიმანური თურქეთის ჩამოყალიბებაში მხარდაჭერით სრულად ამოშანთა იქ მართლმადიდებლობა.

ევროპა ყოველთვის ფიქრობდა, რომ თურქეთი ხიზანი იყო მის მიერ „ნაფეშქაშევ“ ტერიტორიაზე.

90-იან წლებამდე თურქეთი იხრჩობოდა ეკონომიკურ სიდუხჭირეში, მაგრამ რადგან სსრკ იშლებოდა, აშშ-ს და სხვა სახელმწიფოებს თურქეთი პლაცდარმად დასჭირდათ და მისი ეკონომიური აყვავება მოახერხეს. აშშ-ის დახმარებით უამრავი საწარმო, ფაბრიკა და ქარხანა გაიხსნა მაშინ თურქეთში.

თუ ნატო რეგიონში რომელიმე ქვეყანას იპოვის დასაყრდენად ბაზების განსათავსებლად, ან თუ გარიგდება რუსეთთან, თურქეთი დაკარგავს თავის პოლიტიკურ დანიშნულებას და ეს დრო მოდის. ამ დროს ერდოღანი ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და მისი ძალაუფლების გადმობარებას აპირებს. ისლამური სახელმწიფოს სურდათ ქრისტიანული სამყარო გაენადგურებინათ, თავებს აჭრიდნენ ქრისტიანებს, ერდოღანმა პოლიტიკურად მოინდომა ქრისტიანების განეიტრალება-დამორჩილება.

როგორც ჩანს, ერდოღანს რომ იტყვიან, გაუჩალიჩეს. გასაგებია, რომ მას ეს ისედაც უნდოდა, მაგრამ ვიღაცამ რომ შეაგულიანა, აშკარაა.

**— ბატონო ბესო, თქვენ ხომ გაგიგონიათ მოსაზრება, ერდოღანი ლაზიაო?**

— ერდოღანი ლაზური წარმოშობის ორთოდოქსი მუსულმანია. ერთხელ მან თქვა: მე მამაჩემს ვკითხე, ვინ ვართ ჩვენო. მან მიპასუხაო: ღმერთთან ჩვენ ეროვნებით არ მივდივართ, მასთან მუსლიმანობით წარვსდგებითო. ამით მან განაცხადა, რომ მისთვის ეროვნებაზე დიდი მნიშვნელობა აქვს რელიგიას და როგორც გითხარით, აშკარად ეტყობა სურვილი — გახდეს მსოფლიო მუსლიმანთა ლიდერი.

დღეს მას სურს იყოს უფრო მეტი, ვიდრე არის აიათოლა ჰომეინი, მაგრამ დღეს ერდოღანი სხვა რეალობას წარმოგვიდგენს: მან წამოიწყო ომი ქრისტიანებს პლუს იუდეველი ებრაელები.

გაითვალისწინეთ ისიც, რომ დონალდ ტრამპმა იერუსალიმი მსოფლიო ებრაელთა დედაქალაქად აღიარა.

მანამდე სტალინის მიერ ინიცირებული და გაეროს მიერ ტაბუდადებული საკითხი იერუსალიმის გამოცხადებისა მსოფლიო ქალაქად, გააუქმა ტრამპმა და 2019 წელს მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც ზემოთ მოგახსენეთ. ახლა ყველაფერი ისრაელს ეკუთვნის, მანამდე ის, ასე ვთქვათ, საერთო საკუთრება იყო. ეს გაკეთდა იმის გამო, რომ მზადდება პერიოდი სოლომონის ტაძრის მშენებლობის და აი, დადგა მომენტი — ერდოღანმა პროვოცირება გააკეთა საკითხის და ებრაულმა სასამართლომაც მაშინვე გამოიყენა ეს შანსი. ასე რომ, სამწუხაროდ, ათათურქის მიერ განათებული და განათლებული თურქეთი ერდოღანმა კვლავ სიბნელეში დააბრუნა, რაც თურქეთის სახელმწიფოს უეჭველ განადგურებას უქადის.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# კორონავირუსი ან ომს ჩაანაცვლებს, ან კორონავირუსი ომამდე მიგვიყვანს



მასებით მანიპულირებით, მასების მობილიზაცით, ბელადის კულტის შექმნის, სამხედრო აღლუმების თუ სხვა მასშტაბური ზარ-ზეიმის, ადამიანთა გამოთაყვანების მეშვეობით, მათი მანიპულაციით, ტოტალიტარული რეჟიმები აქრობენ ინდივიდს მთლიანობის სასარგებლოდ. ასე ადამიანი უნებურად, გაუაზრებლად ემორჩილება მანიპულატორს ან მანიპულატორებს, მოქმედებს მათი და არა საკუთარი ნების შესაბამისად. ეს იცოდა უკვე ძვ.წ. მეხუთე საუკუნის ჩინელმა



სუნ ძუ

სტრატეგოსმა სუნ ძუმ, რომლის ნაშრომს „ომის ხელოვნება“ დღესაც სწავლობენ ფსიქოლოგიური ომის სპეციალისტები. სუნ ძუ არის ფსიქოლოგიური ომის ერთ–ერთი დიდი პიონერი. სუნ ძუს აზრით საუკეთესოა სახელმწიფოს ხელში ჩაგდება მთლიანად, დაუნგრევლად. მისი დანგრევა ბევრად უფრო ადვილია. ომის ხელოვნების უდიდესი მიღწევაა მოწინააღმდეგის დამორჩილება ბრძოლის გარეშე. სუნ ძუ ხაზს უსვამს რომ სამხედრო სტრატეგიებიდან ყველაზე შედეგიანია მოწინააღმდეგით მანიპულირება ისე რომ შესაძლებელი იყოს მისი იოლად დამარცხება ბრძოლის გარეშე. ფსიქოლოგიური ომის ფუძემდებელი სუნ ძუს თეორიული კონსტრუქციები დაიყვანება შემდეგზე: „გარყვენით ყველაფერი რაც კი საუკეთესოა მოწინააღმდეგის ბანაკში. მისი გამოჩენილი წარმომადგენლები ჩაითრიეთ დანაშაულებრივ საქმიანობაში, შელახეთ მათი პრესტიჟი, ძირი გამოუთხარეთ მათ ავტორიტეტს, საჭირო მომენტში შეარცხვინეთ ისინი საზოგადოების წინაშე, ითანამშრომლეთ ყველაზე სულმდაბალ.ულირს და წამხდარ ადამიანებთან. მოკლედ ადამიანთა გარყვნა-გათახსირება-მოსყიდვაა ქვეყნის დაქცევის საუკეთესო საშუალება და არა ომი. გააჩაღეთ შეჯახებები თქვენი მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის, გააღვივეთ უთანხმოებები და მტრობა მათ შორის. ყველანაირად შეუშალეთ ხელი მომარაგება, წესრიგის დამყარებას და დაცვას მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებში. არ დაინანოთ ფული ინფორმაციისა და თანამზრახველთა საყიდლად თუ მოსასყიდად. საერთოდ გულუხვად გაეცით ფული და დაპირებები, ამას მოაქვს დივიდენდები.“ „ომი ტყუილის თამაშია. ამიტომ თავი მოაჩვენე უძლურად მაშინ, როდესაც ძლიერი ხარ, თავი მოაჩვენე დუნედ, როდესაც მზად ხარ შეტევისთვის. თავი მოაჩვენე შორს მყოფად როდესაც სინამდვილეში ხარ გვერდით, და პირიქით. მიიტყუე მტერი სარგებლით როდესაც მოწინააღმდეგეს სურს სარგებელი. თავს



რონალდ რეიგანი

დაესხი მას და დაამხე როდესაც ის მოცულია უწესრიგობით“.

კორონავირუსმა ომი ჩაანაცვლა ან კორონავირუსი ომამდე მიგვიყვანს – ეს არის ამ ბოლო დროს მომავლის პროგნოზირებისადმი ორგვარი პოპულარული მიდგომა.

ანატოლი ვასერმანმა ახლახან განაცხადა, რომ ამჯერად „მეორე დიდი დეპრესია“, რომლის ნიშნები ჯერ კიდევ ათი წლის წინ იყო შესამჩნევი, კორონავირუსის გამო მეორე დონეზე გადავიდა. წინ – დოლარის გაუფასურება და პლანეტარული მასშტაბის ჰიპერინფლაციაა. პირამიდა, რომელსაც მსოფლიო წლების განმავლობაში აშენებდა, უნდა დაინგრეს. ამ პროცესის გამშვები მექანიზმი კი სწორედ კორონავირუსი გახდა. ახლა, როგორც წესი, გლობალურ კრიზისს გლობალური კონფლიქტი უნდა მოჰყვეს.

როგორც „თავისუფალი პრესა“ გვამცნობს, ანატოლი ვასერმანის თქმით ოდითგანვე ცნობილია, რომ საშინაო პრობლემებისგან თავის დაცვა ყველაზე ადვილია საგარეო პრობლემების შექმნით. – ომი უკვე არაერთი წელია მიმდინარეობს და მეტიც, ის უკვე ათწლეულებს ითვლის. სხვა საქმეა, რომ დიდმა სახელმწიფებმა ისწავლეს ომების ბინებივით გაცვლა: ერთი დიდის გადაცვლა სხვადასხვა რაიონის მრავალ მცირეში. ახლა ცივი ომია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოსდა ის უსაფრთხო ფორმატში მიმდინარეობდეს. მივა თუ არა იგი ცხელ ფაზამდე – უცნობია. ჩემი აზრით, ომი გამძაფრდება სწორედ დღევანდელ ეკონომიკურ ფორმატში. მაგრამ ვფიქრობ ამისგან საშეღავათოს არაფერს უნდა ველოდეთ. პუბლიცისტის აზრით, უახლოეს დროს მოსალოდნელია ახლო აღმოსავლეთის კამპანიის გაგრძელება. იქნება სხვა გართულებებიც, მაგრამ კონკრეტულად როგორი – ამ მომენტში ძნელი სათქმელია. ვასერმანმა ასევე ყურადღება მიაქცია იმას, რომ დღევანდელი ლიბერალური თეორიების კაცთმოძულეობრივი ნაწილის ჩარჩოებში კორონავირუსი მომგებიანიც კი გახდა, რადგან, უპირველეს ყოვლისა, თავიდან იცილებს მოხუცებს, ანუ მოქალაქეთა იმ ნაწილს, რომლებიც ამ



ანატოლი ვასერმანი

თეორიების თვალსაზრისით უსარგებლონი არიან. თუმცა, ახლახან მწერალმა და ესეისტმა მაქსიმ კანტორმა განაცხადა, რომ ომი აუცილებლად უნდა ყოფილიყო და ამისთვის მრავალი მიზეზი და მინიშნებაც არსებობდა: სირიასა და უკრაინაში ფასების ომთა გართულებებიდან დაწყებული ნავთობკონფლიქტებით დამთავრებული. ომის ნაცვლად მოვიდა პანდემია, ერთი მხედრის ნაცვლად გამოცხადდა მეორე. – მახსენდება რონალდ რეიგანის სიტყვები, რომელიც მან 1987 წლის გენერალური ასამბლეის სხდომაზე წარმოთქვა და ბრძანა, რომ კაცობრიობას სჭირდება ისეთი შერყევა, როგორიც არის უცხოპლანეტელთა შემოსევა, რათა განზე გადადოს ნაციონალისტური დავა და გაერთიანდეს. ფუტუროლოგ ალექსანდრე კონონოვის აზრით, ამგვარი გლობალური კონფლიქტი საჭიროა იმისთვის, რათა შეგნებულ იქნას, რომ ერთ ნავში ვსხედვართ, და ყველა ჩვენი კონფლიქტი არაფერია იმასთან შედარებით, თუ რა შეიძლება ყველას ერთად დაგვემუქროს. – დღეისთვის ამგვარი “უცხოპლანეტელების” როლს კორონავირუსი ასრულებს. პანდემია – მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია მსოფლიო მასშტაბის მქონე საშიშროებათაგან, რომელიც მრავალია – ბიოლოგიური იქნება ეს, გეოდეზიური თუ კოსმიური. თუმცა ყოველი ცალკეული აპოკალიპტური სცენარის რეალიზაციის ალბათობა მინიმალურია, საშიშად მათ სწორედ რაოდენობა აქცევს. ყველა მათგანს რომ დაუპირისპირდეს, კაცობრიობას გაერთიანება სჭირდება, ცივილიზაცია უნდა შეიცვალოს. სხვა საქმეა, გააკეთებს თუ არა ცივილიზაცია სწორ დასკვნას? ალექსანდრე კონონოვის აზრით – ეს ნაკლებად მოსალოდნელია. – არსებობს ორი ვარიანტი, პირველი: ოპტიმისტური, რომელშიც კორონავირუსი შეასრულებს “უცხოპლანეტელთა” როლს და ყველას შეაგნებინებს ცივილიზაციის ერთობის, კაცობრიობის გაერთიანების მნიშვნელობას, რომ ყველამ უნდა ეცადოს კონფლიქტების მოგვარება და თავიდან აცილება, რომ ყველამ



მაქსიმ კანტორი

უნდა შეცვალოს მიდგომა ცივილიზაციის განვითარებისადმი. და მეორე: ნეგატიური – ის ვარიანტი, რომელშიც ვითარება კორონავირუსის შემდეგ კიდევ უფრო გაუარესდება. ასე მოხდება, თუკი მიღებულ იქნება გადაწყვეტილებები, რომლებიც დაჰყოფენ ცივილიზაციას, დაჰყოფენ კაცობრიობას და ქვეყნებს საკუთარ თავში ჩაკეტვას აიძულებენ. ამგვარ ვითარებას დღეს უკვე ვხედავთ, როდესაც, მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტი იწყებს ჩინელების ბრალდებას კორონავირუსის გავრცელებაში, ხოლო ჩინეთში პირიქით, ვირუსის გავრცელებაში ამერიკელებს ადანაშაულებს. არსებობს ნეიტრალური ვარიანტიც: ყველაფერი ისე დარჩება, როგორც იყო... თითქმის, ყველა ქვეყანაში წარმატებით განხორციელდა და ეხლაც მოქმედებაშიაი დეოლოგიური ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომელიც წარმოადგენდა გრძელვადიან პროცესს, რომლის დროსაც მასებში უნდა შეცვლილიყო რეალობის აღქმა იმ დონეზე, რომ, ინფორმაციის სიუხვისდა მიუხედავად, ვერავის შეძლებოდა მისულიყო გონივრულ დასკვნებთან საკუთარი თავის, საკუთარი ოჯახის, საზოგადოებისა და ქვეყნის დაცვის მიზნით. დღეს გლობალისტური ელიტა ამ პროცესის უფრო რთულ ვერსიას იყენებს. თუკი გავაანალიზებთ ჩვენს ქვეყანაში ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში მომხდარ მკვეთრ რყევებს, რომლებმაც არცთუ სასიამოვნო მოგონება დაგვიტოვეს მივხვდებით, რომ მიმდინარეობს ფსიქოლოგიური ომის რთული ფორმა. დემორალიზაცია. ის მიმდინარეობდა უკიდურეს შემთხვევაში ორი ათწლეულისა და სრული ძალით ბოლო ათი წლის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ელიტის დღის წესრიგი გართობის, განათლების, “უკანასკნელი ცნობებისა” და სოციალური ქსელების მეშვეობით, ყოველდღიურად აისახება ახალგაზრდების ცნობიერებაში. ახალგაზრდობას რყვნიან ყველა შესაძლო მეთოდებით – საკუთარ სქესთან დაკავშირებული აბდა-უბდიდან მოყოლებული, ვიდრე საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ამხედრებით დამთავრებული. ძირგამომთხრელი ომი მიდის სოციალური ქსელების და „იუთუბ“-ზე ატვირთული ვიდეოების მეშვეობით პროპაგანდა ვრცელდება ახალგაზრდობაზე, რომლის მავნეობა მშობლებს გაცნობიერებულიც კი არა აქვთ. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები მუდმივად აყენებენ კონკრეტულ იდეებს, სრულიად თრგუნავენ და ცენზურას უქვემდებარებენ საწინააღმდეგო თვალსაზრისს. დღეს ყველაზე მეტად, ვიდრე ოდესმე, უნდა დავიცვათ სიფხიზლე, რადგან ყველაფერი რთულდება და იძაბება. ფსიქოლოგიური ომის მწარმოებლები ახერხებენ ახალგაზრდების ნაწილის დარწმუნებას, რომ ბავშვის დაბადების, მისი აღზრდისა და ყოველი წარმატების სიხარული შეიძლება შეიცვალოს ღამის კლუბებით, მენეჯერის კარიერით ან სხვადასხვა გაჯეტებისადმი მონური დამოკიდებულებით. ჩვენ ვკარგავთ ახალგაზრდობას, მაშასადამე, ვკარგავთ ჩვენს მშვიდ ხანდაზმულობას საყვარელ ადამიანთა გარემოცვაში, და საკუთარ თავს მოსაწყენი და პირქუში მარტოობისთვის ვწირავთ.



ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

მორჩა, დამთავრდა, აივსო მოთმინების ფიალა!

2020 წლის ოქტომბრის ბოლოს ამ ქვეყნიდან დარჩენილი ნაგავია გასატანი. ნაგავი არა, ნეხვი, ტრაწი, ძონძი და ტლაპოა გასატანი!

ადრე ამ ნეხვს მეც ნაგავს ვეძახდი, თანაც პოლიტიკურს, ეთიკის ნორმებს ვიცავდი. თურმე ვცდებოდი, მაპატიეთ!

ეს ის ნეხვია, რომელსაც კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდში 1 ლარიც არ ჩაურიცხავს და ამ დროს 250 ათასი დოლარი აქვს დახარჯული ამერიკელ ე.წ. ლობისტებში, ვიღაც კინზინგერებსა თუ ყლინზინგერებში. ლობისტები არა, შაშა და კოლა, ეგეთ საქციელს ადრე ქრთამისტობა ერქვა და კანონით ისჯებოდა. რას ჰქვია, ფული მომეცი და მტყუანიც რომ იყო, გაგამართლებ? რას ჰქვია, დოლარები ჩამირიცხე და ათას სიბინძურეს დავაბრალებ ნებისმიერ ადამიანს? თუნდაც ბიძინა ივანიშვილზე ვიტყვი, რომ ის ვლადიმერ პუტინის მონაა? ეს სადაური წესია? სადაური და ამერიკული, მოსყიდულ კონგრესმენებს დღეს ლობისტებს ეძახიან!

მივყვეთ თანმიმდევრულად, კარგად დავაზუსტოთ, რა სახის ნეხვთან გვაქვს საქმე და რა ფორმით უნდა გავიტანოთ. საერთოდ, ნესვისა და ტრაწის გატანა აუცილებელია, რადგან მას აქვს აუტანელი სუნი. სუნს დავანებოთ თავი, ის დროთა განმავლობაში იქცევა ბაქტერიად, ანუ ინფექციის წყაროდ. აი, სწორედ ამ ეტაპზეა ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია, სადაც ყველაზე საშიში ბაქტერია არის „ნაცმოძრაობა“, ანუ „ტრაწმოძრაობა“.

ნეხვისთვის სულ ერთია, საქმე სახელმწიფოს ეხება, სამშობლოს, ქვეყანას, ხალხს თუ პიროვნებებს, ის ცდილობს, ყველა და ყველაფერი მოწამლოს. აი, მაგალითად, ყველაზე დიდი ნეხვის გროვა (მიხეილ სააკაშვილი), რომელიც უკრაინიდანაც კი ვერ მოიშორეს, სააგენტო „ინტერფაქს-უკრაინა“-სთან ასეთ რაღაცას ამბობს:

„მე ვთვლი, რომ საქართველოს პრორუსული ხელისუფლების დამხობა უკრაინის სახელმწიფოსა და უკრაინელი ხალხის ინტერესებშია. ეს ჩემი პირადი აზრია. მე არ გამოვხატავ არც პრეზიდენტის და არც ვინმე სხვის თვალსაზრისს ამ საკითხთან დაკავშირებით – იმიტომ, რომ მე არ ვითვლები უკრაინის სახელმწიფო მოსამსახურედ. ეს ჩემი პირადი პოზიციაა, თანაც ძალიან მტკიცე. მე ვთვლი, რომ არავის არ შეუძლია აუკრძალოს ქართველს ქართველობა იმ შემთხვევაშიც კი, როცა მას უკრაინის პასპორტი აქვს და უკრაინის პატრიოტია“.

როგორ შეიძლება, ეს ნეხვი იყოს უკრაინის პატრიოტი, როცა იგივე უკრაინას აგდებს უხერხულ მდგომარეობაში? უკრაინასაც და უკრაინელ ხალხსაც საქართველოში პრორუსული ხელისუფლების დამხობა უნდაო. დაუკვირდით, როგორ ცდილობს ორ ქვეყანას შორის სიტუაციის დაძაბვას, დამხობა უნდაო, უკრაინასო, ხალხსაცო. კი, მაგრამ რატომ უნდა უნდოდეს ამ გაჭირვებულ ქვეყანას და ამ გაჭირვებული ქვეყნის მოსახლეობას, რომლის 17,3% რუსულენოვანია, საქართველოში ხელისუფლების დამხობა, ეს ხომ ზღაპარია?!

ეს ჩემი პირადი აზრიაო, თან ეშინია, ამ ნეხვის გროვას, სახელმწიფოებრივ დონეზე არ გაუჩმახონ! მე არ ვარ, სახელმწიფო მოხელეო, კი ვარ უკრაინის პატრიოტი, მაგრამ ვერც ქართველობას ამიკრძალავენო, ჩემს გამო უკრაინელი ხალხი ბოლომდე იბრძოლებს და საქართველოში პრორუსულ ხელისუფლებას დაამხობსო. ამას ჰგონია, ჩვენ ვერაფერს ვხედავთ, არაფერი გვესმის და ვერაფერს ვამჩნევთ... ამას ჰგონია, დაგვავიწყდა, როგორ გაუმართა რუსებს ომი, როგორ ჩააბარა კოდორის ხეობა (რომელსაც რამდენიმე თვით ადრე ზემო აფხაზეთი უწოდა და იარაღიც აზიდა) ტყვიის გასროლის გარეშე, როგორ ჩატოვა ცხინვალსა და მის მისადგომებთან 400-ზე მეტი ცხედარი (დაიჭრა 1045 ჯარისკაცი), როგორ დაადანაშაულა 526 სამხედრო მოსამსახურე ღალატში და როგორ ჩააბარა (გააჩუქა) 135 სოფელი. აი, ამ სოფლებს, დაკარგულსა და აწიოკებულს ომის შემდეგ უკრაინის „პატრიოტმა“, სულით „ქართველმა“ უწოდა ქვების გროვა... რა მოხდა, რუსებმა მხოლოდ ქვების გროვა წაიღესო. დიახ, ასე მოიხსენია გავაზი, დადიანეთი, ქვიტკირი, ყოჩიანი, ჯვარისუბანი და სხვა ქართული სოფლები.

ამან, ამ ნეხვმა მიატოვა ცხედრები და როგორც კი გორში საფრანგეთის ელჩთან, კუშნერთან ერთად ჩავიდა, თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე ისე დაფრთხა, ლამის ცხვირით გადახნა მინდორ-ველები. აღარაფერს ვამბობ ჰალსტუხის (ყლინჯის) ღეჭვაზე. 2008 წლის ერთდღიანი ომის შემდეგ, იმავე კვირაში გადასცა რუსებს ენგურჰესი, ჟინვალჰესი, რიონჰესი, გუმათი-1, გუმათი-2, ლაჯანურჰესი, შაორჰესი, ვარციხე-1, ვარციხე-2, ვარციხე-3, ვარციხე-4, ხრამი-1, ხრამი-2, ხრამი-3, ხრამი-4, ხრამი-5, ყაზტრანსგაზ თბილისი, შავ ზღვაში ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ფირმა „ალექსი“, გარდაბნის მე-9 ენერგობლოკი, გარდაბნის მე-10 ენერგობლოკი, “მადნეული“, “კვარციტი”, საბორნე გადაზიდვები ფოთიდან და ბათუმიდან, რუსთავის “აზოტი”, ზესტაფონის “ფერო”, ელმავალთმშენებელი ქარხანა, არამიანცის საავადმყოფო, „თბილისის წყალი“ და ასე შემდეგ.

მეტსაც გეტყვით... 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში ამ ნეხვის მშობელმა, გიული ალასანიამ ჩალის ფასად „დაითრია“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კორპუსი (15 ათასი კვარდატული მეტრი) და ბათუმის საჯარო რეესტრის ყოფილი შენობა (1 ლარად).



# ნეხვი ნახტომისთვის ემზადება!



სხვათა შორის, დღეს (რატომღაც) არ ლაპარაკობენ და არც იძიებენ იმ ფაქტს, თუ როგორ იხეირეს მთავარმა ნეხვმა სააკაშვილმა და მისმა „პადელნიკმა“ ნეხვებმა (ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი, გიგი უგულავა და სხვები) ომის შემდეგ. დაერივნენ, ეს ნეხვები, ბიზნესმენებს, ვისაც კი თვალში წყალი ედგა, ყველას მიაკითხეს და 21432456 ლარი მოაგროვეს, თანაც ჩუქების სახით – ვითომ ხალხს პატრიოტული გრძნობები გაუღვივდა და სახელმწიფოს საკუთარი ქონება აჩუქეს. ამ ყაჩაღებმა, ყველა მხრიდან ფულის კეთება დაიწყეს, ამერიკა-ევროპის მიერ გამოყოფილი 4 მილიარდი დოლარიც თავად გადაინაწილეს. დაბრეცილი „კალოშებით“ მოსული კეზერაშვილი, რომელიც თავის დროზე „კმარას“ აქტივისტი იყო და სააკაშვილის პლაკატებს დაარბენინებდა, ორ კვირაში მილიარდერი გახდა. აი, რას ამბობს თავდაცვის ამჟამინდელი მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი:

„წლების განმავლობაში, როდესაც ბატონი კეზერაშვილი თავდაცვის მინისტრი იყო, ათეულობით მილიონი ლარი მიემართებოდა უშუალოდ კომპანიებში, ფიქტიური ხელშეკრულებების საფუძველზე. ქართულ ჯარს დღემდე არც შეიარაღება მიუღია და არც ასეულობით მილიონი ლარი დაბრუნებია. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ რატომ არ ბრუნდება ეს თანხები? საქმე ეხება ძალიან სერიოზულ საერთაშორისო დანაშაულს, რომელიც დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან, საბიუჯეტო სახსრების მითვისებასთან და იარაღით უკანონო ვაჭრობასთან. 2006–2009 წლებში მიმდინარეობდა გამალებული შეიარაღება და იარაღის შესყიდვა. დაახლოებით მილიარდ ლარამდე ღირებულების შეიარაღება ომის დროს უბრალოდ გაქრა. არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ ეს შეიარაღება ჩვენს ჯარს ჰქონდა, დღეს არ გაგვაჩნია. ასეულობით მილიონი დოლარის ტექნიკა, შეიარაღება უბრალოდ აორთქლდა, დაიკარგა. ეს არის უდიდესი დანაშაული“.

ვიცი, ახლა ჩაფიქრდებით, ჩემო მკითხველებო და ეგრევე დაგებადებათ შეკითხვა, თუ ასეთი დანაშაული აქვს (მაგალითად) ნეხვ კეზერაშვილს ჩადენილი, რატომ არ იჭერენო? არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, 2012-ში, როცა ნეხვებმა იგრძნეს, არჩევნებს ვაგებთ, კეთილები გვეტ...ვნებაო, სახელმწიფო უწყებებიდან დოკუმენტები გაიტაცეს და გლდანის ნაგავსაყრელზე დაწვეს. ამჟამად კეზერაშვილისა და მისი „პადელნიკების“ საქმეს ისრაელის პროკურატურა იძიებს, ვნახოთ, რა გამოვა.

დავუბრუნდეთ მთავარი ნესვის შემდგომ გამოხტომებს... ამ ავადმყოფს ისე უნდა ხელისუფლებაში დაბრუნება, მზად არის ყველაფრისთვის – დამხობისთვის, რევოლუციისთვის, ცეცხლისთვის და მახვილისთვის. უფლება რომ მისცენ, ისე გადაბუგავს მთელ საქართველოს, თვალსაც კი არ დაახამხამებს. მე უკან ჯდომა რ მიყვარსო, მე ყოველთვის საჭესთან უნდა ვიჯდეო... 100 დღე დარჩა, საქართველო ან გაქრება, ან გადარჩებაო... თუ მე ვიქნები საჭესთან, გადარჩება, თუ არა და დაიღუპებითო... მზად ვარო, ოქტომბერში ჩამოვალ, ხელს ჩაგკიდებთ, თქვენთან ერთად დავდგებიო... ნუ გეშინიათო, მე სამშობლოსთვის თავი მაქვს გადადებულიო. იცით, 1980-იანი წლებიდან რაღა არ და ვინღა არ მინახავს, რამდენ ავაზაკსა თუ არამზადას არ შევხვედრივარ, მაგრამ ასეთი მზაკვარი არასოდეს მინახავს. ის კადრები მაინც არ მქონდეს ნანახი (თქვენთან ერთად), გორში მიწას რომ ხნავს ცხვირით, საით გარბოდა, თვითონაც არ იცოდა. ნეტავ ისიც არ მქონდეს ნანახი, როგორ ღეჭავდა ჰალსტუხს (ყლინჯს). და ეს იჭიმება, თავი მაქვს გადადებულიო, ჩამოვალ და ხელს ჩაგკიდებთო. რამდენჯერ უნდა „ჩამოვიდეს“, ეს თქვენი ცოდვით სავსე? როდემდე უნდა ატყუოს თავისი დებილი მიმდევრები?!



რაის ჩამომსვლელი და ხელის ჩამკიდებელი ეგ არი? ან ვის რა ფეხებად უნდა მაგისი ბინძური ხელის ჩაკიდება? სანამ ამ წერილს დავამთავრებდი, ისიც თქვა, ამ შემოდგომას გადამწყვეტი ნახტომისთვის ვემზადებიო. ამ საცოდავს ჰგონია (საკუთარ თავს იტყუებს, სიტუაციას ხატავს ისე, როგორც უნდა, რომ იყოს), მთელი ქვეყანა ბიძინა ივანიშვილის უღელში გმინავს და ამ შემოდგომას უნდა გათავისუფლდეს. სად გაგონილა, ერთი ძალა ხელისუფლებაში მესამე ვადით დარჩესო? შთაგონებულნი აცხადებენ მიხუინები იმ იმედით, რომ მათი დრო დგება. აგერ, რაღა შორს წავიდეთ? ანგელა დოროთეა მერკელი, გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე, გაიმარჯვა 2005 წლის 22 ნოემბერს და დღემდე სათავეშია. ვიცი, „უგანათლებულესი“ ნაცები არ დაიჯერებენ, მაგრამ ფაქტია, ფრაუ მერკელს მეოთხე ვადით უკავია კანცლერის თანამდებობა.

ასე რომ, სააკაშვილს, როგორც ნეხვის დიდ გროვას, შეუძლია გადმოხტეს კი არა და... გადმოვარდეს უკრაინის რომელიმე სასტუმროს ან სახლის სახურავიდან და ვინმეს ერთ ადგილას დაახტეს, „პაჟალუსტა“!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# იქნებ ვინმემ დაარისხოს განგაშის ზარები, სანამ უპატრონოდ დარჩენილი ადამიანები უპატრონო ძაღლებს არ დაუჭამიათ

წინამდებარე სტატია, რომელიც უპატრონო, მაწანწალა ძაღლებსა და მათგან „დატერორებულ“ მოსახლეობას შეეხება, გაცილებით ადრე უნდა გამოქვეყნებულიყო ჩვენს გაზეთში, მაგრამ მიზეზთა გამო, ვერ მოხერხდა. ამასობაში შევიტყვეთ, რომ გახშირდა ძაღლებში ცოფის და ამ დასნებოვნებული ცხოველებისგან სხვა ცხოველებისა თუ ადამიანების დაკბენის შემთხვევები. ამ განუკითხაობის „პიკი“ რამდენიმე დღის წინ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მომხდარი შემაძრწუნებელი ფაქტია, როდესაც პიტბულის ჯიშის ძაღლი თავს დაესხა და დაკბინა ასაკოვანი (67 წლის) ქალბატონი. მისი მდგომარეობა მძიმეა, ოპერაცია ჩაუტარდა და დღემდე სუნთქვით აპარატზეა. მედიკოსთა განცხადებით, პაციენტს თავ-კისრისა და გულმკერდის არეში, ასევე ორივე ქვედა



კიდურზე ნაკბენ-ნაფლეთოვანი ჭრილობები აღენიშნება. სოციალური ქსელით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ ფრიად აგრესიული ჯიშის ძაღლის მიერ დაკბენილ ქალბატონს, უამრავი ნაკერი დაადეს. ასე რომ, ე.წ. პატრონიანი ძაღლებისგანაც არაა დაცული საზოგადოება, მით უმეტეს რომ მათი მეპატრონეები რათომღაც არ თვლიან საჭიროდ, ალიკაპით გაიყვანონ სასეირნოდ თავიანთი ოთხფეხა მეგობრები. საერთოდ კი, ლამის მთელი საქართველო რომაა ქცეული მაწანწალა, აგრესიული ცხოველების „სამოქმედო არეალად“, რომლებიც დღისით-მზისით თავს ესხმიან ბავშვებსაც და უფროსებსაც, ეს დიდი ხანია სამწუხარო რეალობადაა ქცეული. ვინ არის პასუხისმგებელი გაიწმინდოს დედაქალაქის, სხვა ქალაქები და დასახლებული პუნქტები მაწანწალა ცხოველებისგან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოსახლეობას? ამაზე პასუხი მარტო საზოგადოებამ კი არა, ჟურნალისტებმაც ვერ მივიღეთ იმ კონტიგენტისგან, რომელსაც ეს ევალება.

რას ფიქრობს თავად საზოგადოება ამ მძიმე რეალობის შესახებ? ინტერნეტსივრცეში გავრცელდა მცხეთაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედის, ქალბატონ **ლია რუსიაშვილის** ფეისბუქმიმართვა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ — თუ არა ცხოველებისგან ადამიანთა დასახიჩრებაზე წაყრუება, სხვა რა უნდა ეწოდოს იმ ფაქტს, როდესაც მცხეთის ცენტრში და სვეტიცხოვლის გარშემო (ისევე, როგორც თბილისში და სხვა რეგიონებში) მომრავლებული მაწანწალა ძაღლებისგან დაკბენილი ასობით მოქალაქე აკითხავს ასაცრელად სამედიცინო პუნქტებს?! შეშფოთებული მედიკოსები გვაფრთხილებენ, რომ ჯოხებით შეიარაღებულებმა უნდა ვიაროთ. ჩემთვის ეს საგანგაშო სიტუაცია მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც მაწანწალა ძაღლი ჩემი ოჯახის წევრს დაესხა თავს, რის გამოც ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინისთვის სამედიცინო დაწესებულებაში წავიდა და იქ მოქალაქეების უზარმაზარი რიგი დახვდა. როცა მან გაკვირვებულმა იკითხა, რა ხდებაო, უპასუხეს, რომ თურმე ყოველდღიურად ასობით ძაღლებისგან დაკბენილი მოყავთ და მცხეთის გამგეობისადმი მრავალგზის მიმართვის მიუხედავად, რეაგირებას არავინ ახდენს. ყურადღების გადასატანად ორიოდე დღით სადღაც „გაასეირნებენ“ ამ ძაღლებს და მერე ისევ უკან აბრუნებენ. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს რეალობაში ხდება და ცუდი სიზმარი არაა! მოვითხოვთ, სასწრაფოდ შეაგროვონ სოფლებსა და ქალაქებში მომრავლებული მაწანწალა ძაღლები, მოაქციონ იზოლირებაში სპეციალურად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, რათა დაცული იქნას ადამიანების, განსაკუთრებით ბავშვების უსაფრთხოება!

ამ ფეისბუქპოსტს უამრავი ადამიანი გამოეხმაურა, მათ შორის, მცხეთის რაიონიდან, ქალბატონი წერს, მისი სათქმელი ითქვა, ვის აღარ მიმართეს, მაგრამ ამაოდ. ბავშვები ქუჩაში ვერ გამიშვია და არამარტო ბავშვები, ძაღლები ყველას ესხმიან თავს განურჩევლად ასაკისა. ზუსტად მცხეთის რაიონში სად არ დავრეკეთ, პატრონი არ ჩანს, რომ ამ მაწანწალა ძაღლებს მიხედონ. დაკბენას თავი დავანებოთ, ბავშვს რომ ეცემა, შეიძლება მას შიშისგან შაქარი დაემართოს. ყველა შეწუხებულები ვართ, ქალბატონო ლია, თქვენს გვერდით გვიგულეთ ის ადამიანები, ვინც მაწანწალა ძაღლებისგან გაუსაძლის მდგომარეობაშია, ხალხს მოთმინების ფიალა აევსო, სანამ რაიმე ექსცესი არ მომხდარა, პარლამენტმა, რომელსაც პირველ რიგში ევალება მოქალაქეთა ჯანმრთელობასა სიცოცხლეზე ზრუნვა, აუცილებლად უნდა მიიღოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტებს მკაცრად დაევალბათ მაწანწალა ცხოველებისგან დასახლებული ტერიტორიების გაწმენდა და მათი იზოლირებულ ადგილას გადაყვნაო. ყველა ფეისბუქმომხმარებელი ითხოვს მაწანწალა ძაღლების მოცილებას, ვერ ვხვდები, ამდენი ძაღლის ასე თავისუფლად გაშვება როგორ შეიძლება. გლდანის მეტროსთან ადრე თუ 20–25 ძაღლი ცხოვრობდა, ახლა 50-ს აჭარბებს. სავსეა ქალაქები და სოფლები ქუჩაში დაყრილი უპატრონო ძაღლებით, სადაც არ უნდა დარეკო, ვერაფრით დაგეხმარებითო. ის მაინც გააკეთონ, რაც დასავლეთშია აპრობირებული! ერთ-ერთი ქალბატონი წერს, რომ ოზურგეთშიც რიგი იდგა ცოფზე აცრის გამო. ბატონ შოთა მაქაცარიას ალბათ გულმა უგრძნო, მძიმე შემთხვევა რომ მოხდებოდა — „ძაღლების მოყვარული გახლავართ, მაგრამ ადამიანების უსაფრთხოებასთან როცა გვაქვს საქმე, პრობლემა უნდა მოგვარდეს, მერიების სამსახურები სათანადოდ ვერ მუშაობენ ამ მიმართულებით. ცალკეული აცრები და სტერილიზაციები შედეგს არ იძლევა.



მდგომარეობა უარესდება, უპატრონო, მაწანწალა ძაღლებისა და კატების რაოდენობა იზრდება. ქვეყანაში დღემდე არ არის აკრძალული განსაკუთრებით საშიში, ე.წ. პირველი ჯგუფის რისკის ჯიშები პიტბული, სტაფორშირი, ბულტერიერი და სხვა. ეს დაუშვებელია ცივილიზებულ ქვეყანაში“. საქართველოში რომელ აკრძალვაზეა საუბარი, როცა ასეთი საშიში ძაღლების ალიკაპის გარეშე სეირნობაც არ არის მგონი, დასჯადი. სხვათა შორის, იმდენად არიან გათავხედებული ძაღლების მეპატრონეები, რომ შენიშვნა თუ მისცა ვინმემ, მათ შორის, პოლიციელმა ალიკაპის გარეშე რატომ გამოგყავს ძაღლი ქუჩაში, სადაც უამრავი ბავშვიაო, იქით ლანძღავენ, თქვენ გჭირდებათ „ნამორდნიკიო“. ამ პოსტში ვერ გავარკვიე რომელ სოფელზეა საუბარი, მაგრამ მნიშვნელობა არ აქვს, ყველას ანალოგიური სატკივარი აქვს — სკოლაში ასობით ძაღლი ბინადრობს და ყოველდღე შიშით ველოდები ბავშვები რომ გადაურჩნენ მათ აგრესიას და მშვიდობით დამიბრუნდნენ. სახლთან მოსიარულე მაწანწალა ძაღლებზე აღარაფერს ვამბობო. რას ელოდებით, ხელისუფლებავ, როდის მოსთხოვთ უმოქმედობისთვის პასუხს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, როცა სოციალურ ქსელში თითქმის ყველა იმას წერს, რომ იმ დაწესებულებაში, სადაც ვაქცინაცია ხდება, ძალზე მომრავლებულია ხალხი, ნაკადი არ წყდება, რიგი დგას. მარტო კორონავირუსის პრევენცია-აღმოფხვრაა ამ ქვეყნისთვის „პრიორიტეტი“, ამ სიცხე-პაპანაქებაში ნიღბებში რომ ამოგვხადეთ სული, მაწანწალა აგრესიული ცხოველებისგან გამოწვეული ათასი დაავადება არ ითვლება საფრთხის შემცველად? ქვემო ქართლში, კერძოდ, რუსთავში მაწანწალა ძაღლები ჯგუფებად დარბიან და ასეთი ძალიან ბევრი შემთხვევაა, ამიტომ ზომების მიღება აუცილებელიაო, რომ წერენ რუსთაველები, როდის აპირებთ ამ ზომების მიღებას?!



გურჯაანის ცენტრალური ტერიტორიებიც მაწანწალა ძაღლების რეზიდენციად ყოფილა ქცეული, იქაური ქალბატონი წერს, მართლა მეშინოდა მარტო სადმე წასვლა. ყოველდღიურად რიგი იდგა საავადმყოფოში ცოფზე ასაცრელადო. აქეთ დიდი დიღომი ყოფილა უპატრონო ძაღლებით გადავსებული. ორი წლის წინ ძლივს გადავურჩი დაგლეჯას, მაგრამ ეს შიში და განცდა მომაკვდინებელია ადამიანისთვის, ამიტომ აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს მდგომარეობაო. მოსახლეობა იმ ე.წ. კანონმდებლობასაც აპროტესტებს, რომელმაც ვითომცა ცხოველთა დაცვის მიზნით, ადამიანებს გაუსაძლისად უქცია ცხოვრება, ხმას ვერ სცემ ძაღლს, ზესტაფონის დასახლებაში ეზოებში მოდიან და ქათმებს „ნაგლად“ ჭამენ. ღამით ხომ მათი შიშით ვერ გაივლიო. ჩვენთანაც ასეა, უამრავი უპატრონო ძაღლი დაძრწის. სად არ დავრეკეთ, პასუხი ვერავინ გაგვცაო. გამოხმაურებები გაცილებით მეტი იყო, მხოლოდ მცირე ნაწილი შემოგთავაზეთ.

საქართველოს ძველი სატახტო ქალაქი მცხეთა ყოველთვის ითვლებოდა ასე ვთქვათ, ტურის-

ტულ მექად. კოლექტიური ნაცების შარშანდელმა გავრილოვისეულმა „ვნებანმა“ და წლევანდელმა კორონავირუსის პანდემიამ, მართალია, მნიშვნელოვნად შეამცირა ტურისტების რიცხვი, მაგრამ ეს არ ნიშნავს მცხეთის ძაღლების ქალაქად გადაქცევას. მაწანწალა ცხოველების პრობლემა მთელი საქართველოსთვისაა ანალოგიური, მაგრამ მცხეთის ტურისტული დატვირთვის და იმის გამო, რომ პირველმა მცხეთელმა ქალბატონმა ლია რუსიაშვილმა გამოთქვა პროტესტი და დახმარება ჩვენს გაზეთსაც სთხოვა, კომენტარისთვის მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს **გიორგი-გოგიტა კაპანაძეს** დავუკავშირდით. მერისა და მისი მოადგილის მისაღების ტელეფონი არასდროს პასუხობს,




არ მუშაობს თუ არ პასუხობენ, ვერაფერს მოგახსენებთ. „შინაურობაში“ მერის მობილური ტელეფონის ნომერი გავარკვიეთ და ჩვენი „საისტორიო“ მინი-ინტერვიუც შედგა. მაწანწალა ცხოველების პრობლემა მარტო ჩვენ ხომ არ გვაწუხებს, მათ წინაშე უძლური ვართ, რაც ახალი კანონი მიიღეს, მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ წავიყვანოთ, ავცრათ და უკან დავაბრუნოთო. თითო ძაღლის ეს პროცედურა თურმე ასი ლარი უჯდებათ. ოღონდ მცხეთის „რჩეულმა“ არ იცის (ყოველ შემთხვევაში ვერ მიპასუხა), რომელ კანონზეა საუბარი, რომელიც ხელფეხს უბორკავს. ყველა არასამთავრობო (სავარაუდოდ, ე.წ. ცხოველთა დამცველებზეა საუბარი) ვიდეოკამერით დაგვდევს და აბა, ძაღლს რამე აკადრეო. როგორც ჩანს, ამ ბატონს მცხეთელების და სტუმრების აზრზე მეტად, არამკითხე „ენჯეოშნიკების“ აზრი უფრო აინტერესებს, ეტყობა შიშობს „სადმე“ არ დააბეზღონ. ცოფის შემთხვევების დაფიქსირება რომ ვუხსენეთ, მცხეთაში გამორიცხულია, აცრილები გვყვანანო, დაგვამშვიდა „მზრუნველმა“ მერმა. თურმე როდისმე გადაწყვეტს მთავრობა მაწანწალა თავშესაფრების აშენებას და მაშინ ეს პრობლემაც მოგვარდებაო. საინტერესოა, ვინ დაუშალა მცხეთის მერს თავისი რაიონის ტერიტორიაზე ამგვარი თავშესაფრის აშენება, რა დადგენილება-გადაწყვეტილებას ელოდება? რაიონებისა თუ ქალაქების ამისთანა თავკაცებს მგონი, ის გონიათ, რომ სახელმწიფო ფულს მარტო ამათი კეთილდღეობისთვის, ანუ ხელფას-პრემიების, ძვირადღირებული ავტომანქანების და საწვავის შესაძენად, მივლინებებში „კვალიფიკაციის“ ასამაღლებლად გასაშვებად გამოყოფს. ამ კითხვების დასმა ვერ მოვასწარი, რადგან ბატონ მერს მალევე მობეზრდა საუბარი, ეტყობა სხვა კითხვებიც არ ესიამოვნა, თუნდაც ის, რატომ არ პასუხობს მერიის ტელეფონი, რას ჰქვია არ პასუხობს, ალბათ სხვაგან დარეკეთ, თათბირზე ვარ და არ მცალიაო. საინტერესოა, სად და ვის ეთათბირებოდა მცხეთის „კოლორიტული“ მერი, როცა, როგორც მერიის თანამშრომლებმა გვითხრეს, არც ამ კონკრეტულ დღეს და არც წინა დღეებში სამსახურში არ ყოფილა. მისი სიტყვებით, თურმე ძალიან ბევრი რამე გაუკეთა მცხეთას, ჩამობრძანდით და ნახეთ, შეიძლება ხალხისგან ათასი წერილი მიიღოთ, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ყველაფერი სიმართლეაო.

ლია რუსიაშვილის განცხადებით, გიორგი კაპანაძე რომ მილიონერია, მთელი მცხეთა ლაპარაკობს (ეს თავადაც არაერთხელ მომისმენია და სხვა ფრიად საინტერესო ინფორმაციებიც, მცხეთელების „რჩეულის“ პორტირებულობასა და ნაცების წისქვილზე წყლის დასხმასთან დაკავშირებით — მ.ს.). მაგათ რაში ადარდებთ ხალხის ბედი, თუნდაც დღეში ათჯერ დაკბინოს ძაღლმა, მაგის (კაპანაძის) კანჭებს ხომ არაფერი ემუქრება? სასაცილოა, რომ პარლამენტს ცხოველებისგან ადამიანთა დაცვის მოგვარება უნდა შესთავაზონ, მაგრამ რას იზამო. „საერთო გაზეთი“ მცხეთის მაჟორიტარ დეპუტატს, პარნლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს დიმიტრი ხუნდაძესაც დაუკავშირდა, თუმცა მისი მოუცლელობის გამო, ინტერვიუს ჩაწერა ვერ მოვახერხეთ, საარჩევნო კანონმდებლობაზე ვმუშაობთ. ის მეთოდი, როგორითაც მაწანწალა ცხოველების ლიკვიდაცია ხდებოდა, მართლაც ველურობა იყოო. ჩვენც გეთანხმებით, ბატონო დიმიტრი, რომ ქუჩაში კომბლით არ უნდა ხოცო ცხოველები, მაგრამ არც მეორე უკიდურესობაში უნდა გადავარდე და ამ ცხოველებს ადამიანების ჯანმრთელობა და სიცოცხლე შესწირო. ქალბატონ ლია რუსიაშვილს და დანარჩენ მცხეთელებს ადგილობრივი ხელისუფლების ის კითხვა ჰქონდათ და აქვთ, მოახდენენ თუ არა, მაწანწალა ძაღლებისგან მცხეთის ქუჩების ერთხელ და სამუდამოდ გაწმენდას, საამისოდ რა გარანტიას იძლევიან. სასურველია ეს კითხვა პარლამენტის მისამართითაც გაჟღერდეს, რათა ყოველი ქალაქისა თუ სოფლის მაცხოვრებელი, განსაკუთრებით ბავშვები დაცული იქნას უპატრონო ცხოველთა თავდასხმისგანო.

უპატრონო ცხოველების პრობლემაზე ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც (2013 წლის გაზაფხულზე), აქტიურად წერდა პრესა. საზოგადოების წარმომადგენელთა განცხადებით, მათი არაერთი თხოვნის მიუხედავად, მოდიოდნენ საგანგებო სიტუაციების სამსახურიდან, მაგრამ ძაღლები არ არ მიყავდათ, ვიღაც კვებავს, ანუ უპატრონოები არ არიანო. ხუთი წლის მერე, ვითომ „გამოსავალი“ მონახეს, 2018



წლის 1 იანვარს ამოქმედებულა „საქართველოს კანონი კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“, ხოლო იმავე წლის 1 ნოემბერს ძალაში შედის „საქართველოს კანონი ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“, ორივეს ხელს აწერს ჩვენი ფილოსოფოსი ნაპრეზიდენტალი გიორგი მარგველაშვილი. ვისთვის გამოსავალი და ვისთვის ყოფის გაუარესება. კანონის ერთ-ერთი პუნქტი გვეუბნება, რომ მიზანი, ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა და მათი დაცვა, აგრეთვე ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველთა თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნა და ამასთან დაკავშირებული რისკების შეფასება და მართვა, ცხოველების მოვლა-პატრონობა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვაა. კანონის შემქმნელ-აღმსრულებელო, სად გაქვთ შექმნილი ადამიანისთვის ცხოველთან თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო გარემო, რაში გამოიხატება თქვენი მხრიდან რისკების შეფასება და მართვა? რომ წაიყვანთ, აცრით და ორ დღეში უკან დააბრუნებთ ამ აგრესიულ ცხოველს, ხალხისთვის, მით უმეტეს ბავშვებისთვის რა მნიშვნელობა აქვს აცრილი ძაღლი შეაშინებს და დაკბენს, თუ აუცრელი?! ცნობისთვის, წლების მანძილზე ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია უფასო იყო, ნაციონალებმა თავის დროზე ამ მხრივაც „გაგვახარეს“ და აცრა ფასიანი გახდა, 90 ლარი ღირდა და როგორც ამბობენ, ახლაც ფასიანია და ფასიც იგივეა. თუ საქართველოს მასშტაბით შესაბამის მედპუნქტებთან უწყვეტ რიგებს გავითვალისწინებთ, მავანნი მსუყედ სარგებლობენ. იმის გათვალისწინებით, როგორც საქმეში ჩახედულნი აცხადებენ, რომ საქართველოს ჯანდაცვის დაწესებულებების ლამის 80% ნაციონალების მფლობელობაშია, ამ კუთხით ვაქცინაციიდან შემოსული ფულის ადრესატებიც გარკვეულია.

ახლა, რაც შეეხება კანონისგან „ხელფეხშეკრულებს“ მცხეთის მერის გიორგი-გოგიტა კაპანაძის მეთაურობით, იქნებ ჩაგეხედათ პატივცემულნო ამ კანონში, რა უფლება-მოვალეობები გაგაჩნიათ. იქ რამდენიმე კატეგორიის ცხოველზეა საუბარი, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ უპატრონო ცხოველი გვაინტერესებს. უპატრონო, უსახლკარო, მაწანწალა ცხოველია, რომელსაც არ გააჩნია სახლი, ან არ ცხოვრობს მფლობელის ან მეპატრონის მეთვალყურეობისა და მზრუნველობის ქვეშ. ასევე ის ცხოველი, რომელსაც ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანის შემდგომ, კანონით განსაზღვრული ვადითა და პირობებით არ დაუდგინდა მეპატრონის ვინაობა. უფლებამოსილი ორგანო, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება ამგვარი ცხოველების მონიტორინგი და სხვა მოვალეობა, არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ანუ მერია და საკრებულო.

ძნელია არ დაეთანხმო ლია რუსიაშვილის მიმართვას, რომელიც მან წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ გააკეთა, ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ რომ ვგანგაშებ, უპატრონო ძაღლების წანწალი აიკრძალოს ყველა დასახლებული ტერიტორიის ქუჩებში და თითოეული ცხოველი სადმე მოშორებით, თავშესაფარში განთავსდეს, რატომ დუმხართ, გრანტების გამო აყეფებული არასამთავრობოების გეშინიათ, რომლებიც ვითომდა ძაღლებზე „ზრუნავენ“ და ამ დროს ადამიანები სძულთ პირდაპირი გაგებით? მაშინ ხომ არ დადუმდებოდით, ეს ქალი თქვენი დედა, ან ბებია რომ ყოფილიყო?

ახლა იმას იტყვიან, ეს ძაღლი პატრონიანი იყოო, თუმცა მარტო ამ კონკრეტულ შემთხვევაზე ხომ არ არის ლაპარაკი? უამრავი ფაქტი არსებობს, რომ უპატრონო ცხოველები თავს ესხმიან ადამიანებს, პატრონიანებისგან ასეთი საშინელებაა რომაა მოსალოდნელი, მით უფრო რა მოეკითხებათ უპატრონო ძაღლებს? პრობლემის მოგვარების ცივილურ გზაზე, ანუ თავშესაფარში მათ გადაყვანასა და საზოგადოებისგან იზოლირებაზე გავიძახი და თუკი ესეც არ გაკეთდა, რა ვქნათ? „საცოდავ ცუგებზე“ მაღლა ეგებ ჩვენი შვილებისა და ახლობლების უსაფრთხოება უნდა დავაყენოთ?“.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

გაიხსნა... როგორც იქნა, გაიხსნა და თანაც უფასო იქნებაო. რა იქნება უფასოო? იკითხეს გაავებულმა „ნაცებმა“ და იმ წამსვე დაადგინეს: კი, ბატონო, იქ შესვლა კი იქნება უფასო, მაგრამ იქამდე მისვლა ხომ იქნება ფასიანი?!

დავუშვათ, ლაგოდეხელ „ნაციონალ“ გლეხს მოუნდა შეკვეთილში ჩასვლა, ბიძინა ივანიშვილის გაკეთებული დენდროლოგიური პარკის ნახვა, ტბის პირას წამოკოტრიალება, სირინოზების მოსმენა, მაიმუნებთან ცელქობა, სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა, ხომ უნდა ჩაჯდეს ეს გლეხი ლაგოდეხი-თბილისის სამარშრუტოში და ჩამოხტეს ისნის მეტროსთან?

ეგეც შენი 10 ლარი – დგაფან!

თბილისიდან გურიამდე, ანუ ოზურგეთამდე, ანუ შეკვეთილამდე რა ღირს მგზავრობა? დაახლოებით 25–30 ლარი.

10+30 – ეგეც შენი 40 ლარი – დგაფან!

მერე... ერთ დღეში მოასწრებს ეს „ნაციონალი“ გლეხი 60-ჰექტრიანი პარკის დათვალიერებას? 200-ზე მეტი გიგანტური ხის ქვეშ წამოკოტრიალებას, ფეხის ფეხზე გადადებას და სტვენას? 58





სახეობის ფრინველის გალობით დატკბობას? ვერა, ნამდვილად ვერ მოასწრებს და ბუნებრივია, 2–3 დღე მაინც უნდა დარჩეს. მერე... რა ღირს შეკვეთილში თუნდაც ყველაზე იაფი საოჯახო სასტუმროს ერთი ნომერი, სადაც მხოლოდ თავის დადება შეიძლება ბალიშზე? მინიმუმ, 20 ლარი.

აჰა, 40+20 – ეგეც შენი 60 ლარი – დგაფან!

თუ გლეხი 3 დღე დარჩება შეკვეთილში, მაშინ... ეგეც შენი 100 ლარი – დგაფან!

რაც მთავარია, ამხანაგებო, „ნაციონალ“ გლეხს ხომ უნდა ჭამა-სმა, მშიერი ხომ არ მოკვდება? დავუშვათ, დღეში სამჯერ იყიდა 3–4-ლარიანი „კალბასი“, ცოტაოდენი პომიდორი და კიტრი, ხომ ადის ეს ყველაფერი დაახლოებით 10 ლარამდე? სამჯერ ათი ხომ არის 30 ლარი?

აჰა, ეგეც შენი 130 ლარი – დგაფან!

ჰო, კიდევ ერთი... დავუშვათ „ნაციონალ“ გლეხს შეკვეთილელი ბოზი ჩაუვარდა თვალში, რა ქნას, არ გაატკაცუნოს ბებერი ძვლები? მარტო ვენახში მუშაობა ხომ არ არის ეს ცხოვრება, იმასაც ხომ უნდა დროის ტარება? კარგ ბოზსა კარგი ფულიც უნდა, ძმაო, დაახლოებით 100 ლარი 1 საათში. თუ წაევაჭრება, შეიძლება სადღაც 20 ლარი დააკლოს, მაგრამ 80-ზე ქვემოთ არ იქნება.

არის თუ არა ესეც შენი 230 ლარი, ანუ დგაფან?!

კაი, ბატონო... ესე იგი, შეკვეთილში ჩასვლასა და იქ ტრიალში გლეხმა დახარჯა 230 ლარი... პრინციპში, ეს უნდა დავამრგვალოთ, რადგან ქუჩაში გასვლა გაუთვალისწინებელი ხარჯების გარეშე არ არსებობს – იქით „სემიჩკაზე“ წაგივა თვალი, აქეთ – „მემაროჟნე“ ჩაგივლის ზურგზე მოკიდებული ყუთით, აქეთ მოხარშულ სიმინდს ჩამოატარებს ვინმე და ეგ არი, რააა... ბოლო-ბოლო, „ნაციონალებსაც“ აქვთ ნერწყვი.

ერთი სიტყვით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლაგოდეხიდან შეკვეთილში ჩასვლა „ნაციონალ“ გლეხს დაუჯდება 300 ლარი – დგაფან!

თქვენ გგონიათ, ამით დამთავრდა? არა, გენაცვალეთ, „აბრატნი“ ბილეთებია ასაღები შეკვეთილიდან



# ნაციონალური თვალით დანახული რეალობა ანუ დგაფან!

თბილისამდე (25–30 ლარი) და შემდეგ თბილისიდან ლაგოდეხამდე (10 ლარი... შეიძლება გაძვირდა კიდევაც, ზუსტად არ ვიცი).

აბა, ახლა კარგად დაფიქრდით და ამიხსენით: ჯერ ერთი, რა აზრი აქვს ამხელა პარკის აშენებას – პარკი უნდა ვჭამოთ? მეორე – რა აზრი აქვს პარკის აშენებას, სადაც შესვლა კი არის უფასო, მაგრამ იქამდე მისვლა არის ფასიანი?

კიდევ ერთი... რა საჭიროა პარკი, თუნდაც დენდროლოგიური, სადაც ხეები 15 წელიწადში უნდა გახმეს? ეს საიდანღა მოვიტანე? საიდან და აგერ, ბუნების პირველმა დამცველმა, ქომაგმა და ფლორას (ყვავილებისა და გაზაფხულის ქალღმერთის) ბიცოლამ, ნატა ფერაძემ თქვა. დიახ, მისი პროფესიონალური აზრით, ბიძინა ივანიშვილმა დენდროლოგიურ პარკში დარგო მეორადი ხეები, ნამდვილები სახლში წაიღო, კომბლები გამოთალა და ჭერში შეაწყო, ზოგი ჭორვილაში, ზოგიც სოლოლაკში.

აი, რას ამბობს ფლორას ბიცოლა ფერაძე: „დაბომბვის პერიოდშიც კი არ იყო ქვეყანა იმ მდგომარეობაში, რაშიც ახლაა, ივანიშვილის მიერ „დენდროპარკის“ აშენების შემდეგ“.

აბა, ტყუის ეხლა ეს ქალი? 2008-ში რუსებს არ დავუბომბივართ ისე, როგორც ახლა დაგვბომბა ბიძინა ივანიშვილმა და თან გვაზეიმა კიდევაც, გახსნა პარკი და ხალხს ტაში დააკვრევინა. არა, ხომ დაგვბომბა, ეგეც არ გვაკმარა, როგორც ბუნების დიდი მოამაგე ლაშა ჩხარტიშვილი იძახის (მას ნამდვილად დაეჯერება), ყველა ხის ძირში დამონტაჟებულია ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც დაკავშირებულია ბიძინა ივანიშვილის მობილურთან და რომელ ხეს როდის ააფეთქებს, არავინ იცის.

ეგ კიდევ არაფერი... აი, ხეებზე მაიმუნები რომ დარბიან, მაგათ ყველას აქვს უკანალში დეტონატორი და რომელი როდის ამოქმედდება, არც ეგ იცის არავინ.

და ბოლოს... როგორც ფერაძე და ჩხარტიშვილი ამბობენ (მაგათ არაფერი ესწავლებათ), ეგ პარკი, ანუ ტყე იმიტომ გააშენა ბიძინა ივანიშვილმა, რომ იქ ბერას კრიმინალი ძმაკაცები დამალოს. აპააა, თქვენ გგონიათ, ბიძინას თქვენი ჯანმრთელობა და ნათელი მომავალი აწუხებს? ფხრიიინწ (უკაცრავად, დამაცემინა)... რა გულუბრყვილონი ხართ, ხალხნო?!

არა, რააა... მართლა გულუბრყვილონი ხართ, სად გაგონილა 60 ჰექტარზე გაშენებული პარკი? მაშ, ვერ უნდა მიხვდეთ, რომ მილიარდერმა გაგაცუცურაკათ? როგორც ნატა ძალომ თქვა თავისი პროფესიონალური ენით, 1 სანტიმეტრი ნეშომპალას (ნიადაგის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოქმნილია მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების ლპობისგან) წარმოქმნას სჭირდება 80–100 წელიწადი, რაც არ მოიპოვება დენდროლოგიულ პარკში. დიახაც, ფულით ყველაფერს ვერ იყიდი... კი მიიტაცა ბიძინა ივანიშვილმა აჭარა-გურიაში ასეულობით ხე, მაგრამ ვერ იშოვა ნეშომპალა. გარდა ამისა, ნატა ძალოს თქმითვე, თურმე ეს პარკი, რომელიც მილიარდერმა გააშენა, არის რუსული. არა, იქ არც რუსი მაიმუნები დარბიან, არც რუსული არყის ხეებია, არც რუსი „ბაკაკები კიკინებენ“, მაგრამ მაინც რუსულია, იქ რუსული სული ტრიალებს.

●

აი, ასეთია, ამხანაგებო, „ნაციონალის“ თვალით დანახული სიკეთე. მე არაფერს ვიგონებ, ისინი ასე აზროვნებენ, ასე წარმოაჩენენ, ბრწინვალებაშიც კი ისეთ სიმახინჯეებს ხედავენ, ჩვენ რომ ვერც კი წარმოვიდგენთ. კაცმა იწვალა, ფული დახარჯა, გააკეთა, ააშენა და ესენი იძახიან, რუსულიაო. არ გჯერათ, ხომ? გადაახვიეთ „ჭუტავიზიის“ 17 ივლისის შუადღის გადაცემა და ნახეთ, შეიძლება ნანახიც გაქვთ.

არაუშავს, უფალი ყველაფერს ხედავს და როგორც ვიცი, ასეთებს სჯის... პრინციპში, ამაზე მეტად როგორღა უნდა დაისაჯონ?

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61







# გახსოვთ, მონებად რომ გყავდით, თეთრებო? ჰოდა, ახლა გადაგვიხადეთ კომპენსაცია, თორემ...

პანდემია „კოვიდ 19“-მა სამყაროში ახალი წესრიგი შემოიტანა. ასპარეზზე გამოჩნდნენ სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტები, გააქტიურდნენ ბარბაროსები, რომლებიც დღემდე ჩრდილში იყვნენ. სიტუაცია განსაკუთრებით დაძაბული ამერიკის შეერთებულ შტატებში რჩება. ერთი შეხედვით ჰუმანური იდეების მატარებელი მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“ ტერორისტულ ორგანიზაციას დემსგავსა. მოძრაობის წევრებმა აშშ-ის სხვადასხვა ქალაქებში ღიად შეუტიეს ქრისტიანულ სარწმუნოებას. წვავენ, არბევენ, ბილწავენ კათოლიკურ ეკლესიებს. იესოს და ღვთისმშობელი მარიამის სტატუებს, თავები წააცალეს მხოლოდ იმ მოტივით თეთრები არიანო. ერთ-ერთი ავიარეისის შესრულების დროს აღგზნებული შავკანიანი მგზავრი თეთრებს დაემუქრა — „დაგხოცავთ ყველას ვინც არ დამეთანხმება რომ იესო ქრისტე შავკანიანი იყო“!

შესაძლოა ამ შემთხვევაში ჯანმრთელობის, ფსიქიკურ პრობლემასთანაც იყო დაკავშირებული





მსგავსი გამოხტომა, მაგრამ ექსპერტები დაუსჯელობის სინდრომს უკავშირებენ, რამაც დაისადგურა აშშ-ი. ნიუ-იორკში აქციის დაშოშმინების დროს თვით ქალაქის პოლიციის უფროსიც კი დაზარალდა. მთელ რიგ ქალაქებში პოლიციის მხარდამჭერი აქციები იმართება. მოსახლეობა დაიღალა არსებული ქაოსით და წესრიგის დამყარებას ითხოვს. თავად პოლიციელებიც ლოიალობით აღარ გამოირჩევიან. აქციების და არეულობების აღკვეთისას მკაცრ, რადიკალურ ზომებსაც მიმართავენ, არც იარაღის გამოყენებაზე ამბობენ უარს. თუმცა, როდის აღდგება ქვეყანაში წესრიგი, ძნელი სათქმელია.

საინტერესოა, რომ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მოწინააღმდეგე პოლიტიკოსები კვლავ განაგრძობენ მოძრაობის წევრების წაქეზება-წახალისებას. ზოგიერთი მათგანი მოითხოვს, რომ შავკანიან მოსახლეობას მონობაში ყოფნის გამო თეთრკანიანებმა უკლებლივ ყველას უნდა გადაუხადონ კომპენსაცია. არაფერს ამბობენ მათზე, ვინც მონობის დასრულების შემდეგ, თუნდაც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ჩავიდნენ აშშ-ი საცხოვრებლად, რატომ უნდა მიიღონ მათ კომპენსაცია. ამერიკული პრესა საერთოდაც რუსეთის სპეცსამსახურებს აბრალებს მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“-ს შექმნას. ექსპერტების შეფასებით, დემოკრატები ყველაფერს აკეთებენ ტრამპის საწინააღმდეგოდ.

საყურადღებო სტატია გამოაქვეყნა გასულ კვირას „ვოლსტრიდ ჟურნალმა“. გამოცემა იუწყება, რომ სხვადასხვა სამეცნიერო სფეროებში, თუნდაც ფიზიკის დარგში შავკანიანები არ მოღვაწეობენ. ამიტომ სამეცნიერო მუშაობები შეაჩერეს, რათა რასიზმში არ დაადანაშაულონ. როგორ აინაზღაურებენ მეცნიერები დაკარგულ დროს, ამის შესახებ არაფერს ამბობენ.

არსებობის 14 წლიან ისტორიაში, სოციალურმა ქსელმა „ტვიტერმა“ გასულ კვირას მასშტაბური ხაკერული შეტევა განიცადა პოლიტიკოსებმა, მილიარდერებმა, მსახიობებმა (მათ შორის ბარაკ ობამამ, ჯო ბაიდენმა, ბილ გეიტსმა, მაიკლ ბლუმბერგმა) მიიღეს შეტყობინება: „გადმოგვირიცხეთ თანხა, რომელსაც ორმაგად დაგიბრუნებთ. ყოველივე უნდა 30 წუთში განახორციელოთ“. როგორც იუწყებიან, ხაკერების ანკესს რამდენიმე ასეული ადამიანი წამოეგო. თაღლითებმა დაახლოებით 200 ათასი დოლარი მიითვისეს. ვარაუდობენ, ხაკერულ შეტევაში, სოციალური ქსელის თანამშრომელი მონაწილეობდა. აშშ-ის სპეცსამსახურების თანამშრომლებს ეშინოდათ ხაკერებს დონალდ ტრამპის გვერდზე არ შეეღწიათ. იგი ერთადერთია ქვეყნის მმართველთა შორის მსოფლიოში, რომელიც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ტვიტერით ავრცელებს. ამასთან, სოციალურ ქსელების ხელმძღვანელებთან დაძაბული ურთიერთობა აქვს. საბედნიეროდ, ტრამპის გვერდზე ხაკერებს შეტევა არ განუხორციელებიათ.

ბოლო სოციალური გამოკითხვების მიხედვით, დონალდ ტრამპი 8 პროცენტით ჩამორჩება ჯო ბაიდენს. ამის მიზეზად, პოლიტოლოგები ქვეყანაში კოვიდის მასობრივ გავრცელებას ასახელებენ. აშშ-ის მთავარი ვირუსოლოგის ენტონი ფაუჩის განცხადებით ერთბაშად 18 შტატია ე.წ. წითელ ზონაში. მისივე თქმით, შეზღუდვების მოხსნა ეტაპობრივად უნდა განხორციელებულიყო. თავად დონალდ ტრამპი გამოკითხვებს არ ენდობა. მისი განცხადებით, ყველა შანსი აქვს არჩევნებში გასამარჯვებლად. აშშ-ი არსებული ქაოსიდან გამომდინარე, ტრამპი ცდილობს ამომრჩევლის ყურადღება ჩინეთისკენ და ევროპისკენ გადაიტანოს.




გასულ კვირას დონალდ ტრამპმა ახალი სანქციები დაუწესა ჩინელებს ჰონკონგში განვითარებული მოვლენების გამო. ჩინელების მტკიცებით, შეძლებენ თავიანთი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვას. ექსპერტების შეფასებით, ჩინელები უკანდასახევ გზას დაიტოვებენ, ჯერ არ ჩაანგრევენ ყველა ხიდს.

კვლავ დადგა დღის წესრიგში „ჩრდილო ნაკადი 2“-ის მშენებლობა და უკვე ამოქმედებული „თურქეთის ნაკადის“ შეჩერება. სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო მკაცრი სანქციებით დაემუქრა ვინც არ შეწყვეტს აღნიშნულ პროექტებში მონაწილეობას. ამით განსაკუთრებით გერმანელები გაანაწყენა. „...ევროპის ენერგოპოლიტიკა ფორმირდება აქ და არა აშშ..“-ი. — უპასუხეს პომპეოს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ევროპელების ინფორმაციით, შარშან აშშ-მა რუსეთიდან 12 მილიარდი დოლარის ღირებულების ენერგორესურსები შეიძინა. ვნახოთ რით დასრულდება აშშ-გერმანიის ჭიდილი.

აშშ-ის პრეზიდენტობის მსურველმა, შავკანიანმა რეპერმა კანიე უესტმა თავისი პირველი შეხვედრა გამართა მხარდამჭერებთან. საუბრობდა აღგზნებული, ციტირებდა ბიბლიას, არ ერიდებოდა უცენზურო გამონათქვამებს. საკუთარი ბავშვობის გახსენებისას აქვითინდა კიდეც. რისი თქმა უნდოდა ჯავშანჟილეტში გამოწყობილ კანდიდატს, 1,5 საათში ვერავინ გაიგო... ამერიკული პრესის მონაცემებით უესტს გაფანტული ბიპოლარული დაავადება ჰქონია, რაც ფსიქიატრიულ განხრას განეკუთვნება. თუმცა, პრეპარატებით მკურნალობაზე უარს ამბობს, შემოქმედებით საქმიანობაში შემიშლის ხელსო. რა გითხრათ, გახდება თუ არა პრეზიდენტი უესტი შემოდგომაზე ვნახავთ.

მოკრძალებულად აღინიშნა პოტსდამის კონფერენციის 75-ე წლისთავი გასულ კვირას. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სწორედ პოტსდამში მოხდა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება. კონფერენციის შედეგების წყალობით შესაძლებელი გახდა შეიარაღებული დაპირისპირების თავიდან აცილება ცივი ომის პერიოდში. შემოდგომით კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის 75-ე წლისთავი უნდა აღინიშნოს. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია დამფუძნებელი ხუთი ქვეყნის ლიდერების პირისპირ შეხვედრა. თეთრი სახლიდან გავრცელებული დაუზუსტებული ინფორმაციით, დონალდ ტრამპს სურს მთავარ ღონისძიებამდე შეხვდეს თავის რუს კოლეგას ვლადიმირ პუტინს, რასაც ამერიკის პრეზიდენტი შემოდგომაზე არჩევნებზე გამოიყენებს, ამას უკვე პოლიტოლოგები აცხადებენ. მანამდე კი პორტლანდში და სიეტლში არეულობა გრძელდება. რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლად შეუძლებელია შეფასდეს იქ განვითარებული მოვლენები, უფრო ზუსტად დარბევა არეულობები. ფედერალური სამხედრო ძალები და პოლიცია ძალისმიერი მეთოდებით ცდილობენ წესრიგის დამყარებას...

საერთაშორისო საზოგადოების მოწოდების მიუხედავად, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა გამოსცა ბრძანება სტამბულში აია სოფიის ტაძრის მეჩეთად გადაკეთების თაობაზე. „... ჩვენი თაობის ოცნება ავისრულეთ“, — განაცხადა პრესკონფერენციაზე ერდოღანმა. პირველი მუსულმანური ლოცვა პარასკევს არის დაგეგმილი. ერდოღანის თქმით, არავის აზრი არ აინტერესებს, მათ შორის ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციებისაც კი. რა ბედი ელით ქრისტიანულ ფრესკებს, გაურკვეველია. დაესწრება თუ არა პარასკევის ლოცვას ერდოღანი უცნობია.

ექსპერტების თქმით, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის დაპირისპირებამ სწორედ სოფიის ტაძრის მეჩეთად გადაკეთების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იფეთქა. როგორ განვითარდება მოვლენები ჩვენს სამეზობლოში, ძნელი სათქმელია. თურქეთი მხარს აზერბაიჯანს უპირობოდ უჭერს, რაც ოფიციალურადაც განაცხადეს. რუსეთი და ირანი მხარეებს ცეცხლის შეწყვეტის და მოლაპარაკებისკენ მოუწოდებენ.

სომხეთი მინგეჩაურის წყალსაცავის პლატინის აფეთქებით იმუქრება. აზერბაიჯანელები კი სომხეთში არსებულ ატომურ ელექტროსადგურზე შეტევით... მართალია, გაძნელდება, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს ოქროს შუალედის პოვნა, რათა უნებლიეთ არ ჩავერთოთ მათ დაპირისპირებაში. გავიხსენოთ ისტორიაც — საქართველოს გასაბჭოება-ანექსია იმ დროს ჯერ კიდევ ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთმა სწორედ აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან დაიწყო. ნუ ვიქნებით გამონათქვამის იმედზე ისტორია არ მეორდებაო. რა გითხრათ, სიფრთხილეა საჭირო, რათა მართლაც არ გამეორდეს ისტორია.

**გია ბურდული**
551 71 27 07





# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის
იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



* * *

**— მე და ჩემი მეუღლე ვზრდიდით მეუღლის ობოლ ძმისშვილს, რომელსაც ორივე მშობელი ავტოავარიაში დაეღუპა. გადავწყვიტეთ ბავშვი გვეშვილა, რადგან ჩვენ შვილი არ გვყავდა, ხოლო ჩემს ქმარს არ უნდოდა, ბავშვის მიმართ მხოლოდ ბიძის სტატუსით ეზრუნა, რადგან ბიჭი მართლა შვილივით გვიყვარს. შევიტანეთ სარჩელი სასამართლოში, მაგრამ მოულოდნელად ჩემი მეუღლე დაიღუპა. ხომ არ შემექმნება პრობლემა ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებით მეუღლის გარდაცვალების გამო?**

— არა, პრობლემა არ შეგექმნებათ, რადგან თქვენი მეუღლის სიცოცხლეშივე შეგიტანიათ სარჩელი სასამართლოში. ამ სარჩელში დაფიქსირებულია ნება თქვენი მეუღლისა, რომ სურს, იყოს ბავშვის მამა. ვფიქრობ, სამოქალაქო კოდექსის 1240-ე მუხლი სრულად გასცემს პასუხს თქვენს შეკითხვას:

მუხლი 1240. შვილად აყვანის დადასტურება აღმზრდელის გარდაცვალებისას

აღმზრდელის გარდაცვალებისას შვილად აყვანის ფაქტი შეიძლება სასამართლოს წესით დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ოჯახში

შვილად იყო მიღებული, აგრეთვე, თუ მშვილებელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ.

თქვენს შემთხვევაში ყველა პირობა დაცულია: ბავშვი თქვენს ოჯახში უკვე იზრდება, როგორც შვილი და, ასევე, თქვენ და აწ გარდაცვლილ თქვენს მეუღლეს უკვე შეტანილი გაქვთ სარჩელი სასამართლოში. ბავშვის დაბადების მოწმობაში თქვენ მითითებული იქნებით, როგორც დედა, ხოლო თქვენი მეუღლე, როგორც მამა.

* * *

**— შეიძლება თუ არა, სასამართლომ რაიმე მოტივით უარი თქვას სამოქალაქო საქმის განხილვაზე?**

— არა.

დაგიკონკრეტებთ:

სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას კანონის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მას კანონის ნორმა უსამართლოდ ან არაზნეობრივად მიაჩნია.

* * *

**— ვაფორმებთ საპროცესო შეთანხმებას პროკურატურასთან. შეიძლება თუ არა, სასამართლომ დაამძიმოს ან შეამსუბუქოს ჩვენი პირობები სასჯელის ნაწილში?**

— არა.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის მე- 6 ნაწილის შესაბამისად, “სასამართლო უფლებამოსილია საპროცესო შეთანხმებაში ცვლილებები შეიტანოს მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში”.

* * *

**— მაინტერესებს სისხლის სამართლის კოდექსიდან ოჯახური ძალადობის მუხლი თავისი სანქციებით.**

მუხლი 1261. ოჯახში ძალადობა

1. ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა გამოიწვია და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, —

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;

ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;

გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

დ) ჯგუფურად;

ე) არაერთგზის, —

ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

* * *

**— ჩემს მიწის ნაკვეთს არ აქვს სარწყავთან დამაკავშირებელი ხაზი. შემიძლია თუ არა, მომიჯნე მეზობლის ნაკვეთით ვისარგებლო, მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა?**

— წარმოგიდგენთ სამართლის ნორმას, რომელიც სრულად გასცემს პასუხს თქვენს შეკითხვას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 180. აუცილებელი გზა

1. თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს.

2. აუცილებელი გზის ან გაყვანილობის თმენის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი უკვე არსებული დაკავშირება მიწის ნაკვეთისა გაუქმდა მესაკუთრის თვითნებური მოქმედებით.



* * *

**— რა მიეკუთვნება უძრავ ნივთებს?**

— სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის მიხედვით, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

* * *

**— რა იგულისხმება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში?**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაა სხეულის ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან.

ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხს ადგენს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

* * *

**— რას ნიშნავს სოლიდარული ვალდებულება?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის მიხედვით, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

* * *

**— შეიძლება თუ არა ნარკოტიკის ან ალკოჰოლის მოხმარების გამო, მოხდეს პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვა?**

— შეიძლება, ოღონდ ეს არ ეხება ერთჯერად მოხმარებას. ადგილი უნდა ჰქონდეს ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერების ბოროტად გამოყენებას. დაგიკონკრეტებთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლის მითითებით:

მუხლი 16. ქმედუნარიანობის შეზღუდვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების გამო

1. სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. იგი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა.

2. ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა იწვევს მზრუნველობის გაუქმებას.

* * *

**— მაინტერესებს უბედური შემთხვევის დაზღვევის თემა.**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 854-ე მუხლი.

1-ლი ნაწილი: უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც დამზღვევის, ისე სხვა პირის უბედური შემთხვევისათვის.

მე-2 ნაწილი: თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია არა დაზღვეული პირის მიერ, მაგრამ მის სასარგებლოდ, მაშინ მასზე ვრცელდება წესები სიცოცხლის დაზღვევის შესახებ.

ამავე კოდექსის 855-ე მუხლის მიხედვით, თუ მზღვეველის მოვალეობა დამოკიდებულია ჯანმრთელობისათვის ზიანის (ვნების) განზრახ მიყენებაზე, მაშინ განზრახვის არარსებობა ივარაუდება მანამდე, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო.

ამავე კოდექსის 855–3 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მზღვეველი თავისი მოვალეობის შესრულებისაგან თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირის დაზღვევისას სარგებლის მიმღები უკანონო მოქმედებით განზრახ გამოიწვევს უბედურ შემთხვევას, ხოლო მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სხვა პირს აქვს სარგებლის მიღების უფლება, მას ეს უფლება ჩამოერთმევა მაშინ, თუ იგი უბედურ შემთხვევას გამოიწვევს განზრახ უკანონო მოქმედებით.

857-ე მუხლის მიხედვით, თუ მოვალეობები უნდა შესრულდეს სარგებლის მიმღები პირის სასარგებლოდ, მაშინ ეს პირი მოვალეა განაცხადოს უბედური შემთხვევის თაობაზე. ეს წესი ვრცელდება ცნობების შეტყობინებისა და საბუთების გადაცემის მოვალეობებზედაც.

858-ე მუხლის მიხედვით, დამზღვევს არა აქვს რეგრესის უფლება იმ პირის მიმართ, რომელიც პასუხს აგებს ზიანისათვის.

# ვინ იყო პაპი პიუს XII – ნაცისტების მოკავშირე თუ წმინდანი?!

ამ ცოტა ხნის წინათ ვატიკანმა გადაწყვიტა, ფარდა აეხადა კათოლიკური ეკლესიის ისტორიის მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ნაწილისთვის. გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნა ეკლესიის საარქივო დოკუმენტებს. ისინი გასაიდუმლოებული იყო იმ ეჭვების გამო, რომ თითქოსდა ეკლესიის მაშინდელმა მეთაურმა, პაპმა პიუს XII-მ იცოდა ჰოლოკოსტის შესახებ და ამაზე თვალს ხუჭავდა. ეს დოკუმენტები ნათელს ჰფენს ამ პონტიფიკოსის მმართველობის ყველა სადავო მომენტს. ის ნაცისტების მეგობარი იყო თუ ფრთხილი მოწინააღმდეგე? თუ სიტუაცია იმაზე უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს?

ისტორიკოსებმა შეისწავლეს ყველა საეკლესიო არქივის მრავალრიცხოვანი დოკუმენტები, რომლებიც ახლაღა გახდა ხელმისაწვდომი. მეცნიერები ამბობენ, რომ მათ იპოვეს იმისი მტკიცებულებები, რომ პიუსმა ებრაელების საშინელი მდგომარეობის შესახებ ნაცისტური რეჟიმის პირობებში



ჯერ კიდევ 1942 წელს შეიტყო.

ჩვეულებრივ, პაპის ჩანაწერები მისი გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ ხდება საჯარო. ამ შემთხვევაში პაპმა ფრანცისკემ გამონაკლისი დაუშვა. 2019 წლის დასაწყისში, მისი წინამორბედის არჩევიდან მე-80 წელს, ამჟამინდელმა პაპმა განაცხადა, რომ „ეკლესიას ისტორიის არ ეშინია“. მან თქვა, რომ შესაძლოა, სწორედ ამ საიდუმლოებების გამოა, ჰოლოკოსტის მიმართ პონტიფიკოსის დამოკიდებულება ბევრმა ძალზე თავშეკავებულად რომ მიიჩნია.

## ვინ იყო პიუს XII, ვიდრე პაპი გახდებოდა

ეუჯენიო მარია ჯუზეპე ჯოვანი პაჩელი — ასე ერქვა მომავალ პონტიფიკოსს, რომელიც რომში 1876 წლის 2 მარტს დაიბადა. 1899 წელს ის მღვდლად აკურთხეს, მოგვიანებით ვატიკანის სახელმწიფო სამდივნოში მსახურობდა, მერე კი პაპის ნუნცია იყო. 1929 წელს პაჩელი კარდინალი გახდა და პაპად არჩევამდე ვატიკანის სახელმწიფო მდივანი იყო.

საკუთარი დაბადების დღეზე ბედის ბრწყინვალე საჩუქარი მიიღო — ის რომის პაპი გახდა. პიუს XII იყო პირველი პაპი, ჯერ კიდევ პაპი კლიმენტი IX-ის დროიდან, რომელიც მანამდე სახელმწიფო მდივნად მსახურობდა.

## წმინდა ტახტზე პიუს XII-ის მოღვაწეობა

მან დიდი ღვაწლი გასწია კათოლიკური სოციალური სწავლების განვითარების საქმეში. ზოგიერთ საკითხში პაპი საკმაოდ კატეგორიული იყო. მაგალითად, კომუნისტური იდეოლოგიის გაკიცხვის დროს. ის ამ იდეოლოგიას ტოტალიტარულად თვლიდა. პიუს XII აქტიურად გამოთქვამდა პროტესტს საბჭოთა კავშირში კათოლიკური ეკლესიის დევნის გამო. მას ასევე აინტერესებდა სს-ის დივიზიის „გალიჩინის“ სამხედრო მოსამსახურეების ბედიც — სწორედ პონტიფიკოსმა გადაარჩინა ისინი სსრ კავშირში დეპორტაციისგან.

პიუს XII დიდად უწყობდა ხელს ახალი კათოლიკური ეკლესიების შექმნას. ვატიკანმა მისი კანონიზირებაც კი გადაწყვიტა. პროცედურა მხოლოდ იმის გამო შეჩერდა, რომ ამ პაპის მოღვაწეობა ბევრ შეკითხვას ბადებს.

ამჟამად მეცნიერები აქტიურად შეისწავლიან მეორე მსოფლიო ომის დროს მის მოღვაწეობას ამ მნიშვნელოვან ჩახლართულ საკითხებში გასარკვევად.

პაპი პიუს XII უმაღლეს იერარქად 1939 წელს აირჩიეს. მისი მმართველობის დასაწყისი ნაცისტური რეჟიმის ჩასახვას დაემთხვა. იმის გამო, რომ ნაცისტების იმ დანაშაულებების გამო დუმდა, რომელთა შესახებაც შეუძლებელია მას არ სცოდნოდა, პიუს XII-ეს „ჰიტლერის პაპსაც“ კი უწოდებენ. პონტიფიკოსი რომის ეკლესიას 1958 წლამდე მართავდა. ზოგიერთი მკვლევარი პირდაპირ აცხადებს, რომ პიუსმა ებრაელების მასობრივი მკვლელობების შესახებაც იცოდა, მაგრამ არაფერს მოიმოქმედებდა.

რატომ არის პიუს XII-ის შესახებ ცნობები ასე წინააღმდეგობრივი? რომის პაპი მეორე მსოფლიო ომის დროს ნეიტრალიტეტს იცავდა მე-20 საუკუნის უდიდესი ბოროტების — ჰიტლერის მესამე რეიხის მიმართ. ნაციზმთან მიმართებაში მის პოზიციას ბევრი ეკლესიისთვის კატასტროფად მიიჩნევს. პონტიფიკოსის უარი, საჯაროდ დაეგმო ნაცისტების ქმედებები, მორალური წარუმატებლობა და სირცხვილია, რომელსაც დამანგრეველი შედეგები მოჰყვა.

ვატიკანში ამტკიცებენ, რომ პიუს XII ფრიად აქტიურად, მაგრამ გაუხმაურებლად ეხმარებოდა ებრაელებს. საარქივო დოკუმენტები ამ მტკივნეულ საკითხს ნათელს მოჰფენს. ათეულობით მეცნიერი მუშაობს მათ შესწავლაზე. მკვლევართა შორის არიან ვაშინგტონში მდებარე ჰოლოკოსტის მუზეუმის თანამშრომლები, რომელთაც ხელმძღვანელობს ექსპერტი პონტიფიკოს პიუს XII-ის მოღვაწეობის შესწავლის საქმეში, მიუნსტერის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი ჰუბერტ ვოლფი. ვოლფი თვლის, რომ არ არსებობს არავითარი ეჭვი, რომ პიუს XII-მა მასობრივი მკვლელობების შესახებ იცოდა.

## და მაინც, ნაცისტების ხელშემწყობი თუ წმინდანი?

პაპის მომხრეები ამბობენ, რომ მან ბევრი კათოლიკე გადაარჩინა ნაცისტების დევნისგან. ისინი ასევე ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ იტალიური მონასტრები ათასობით ებრაელს აძლევდნენ თავშესაფარს.





ამ ცოტა ხნის წინათ წარმოდგენილმა ვატიკანის დოკუმენტებმა ექსპერტებს საშუალება მისცა, უფრო ღრმად ჩასწვდომოდნენ რომში გადაწყვეტილებების მიღების პროცესს.

დოკუმენტებს შორის აღმოჩენილია მემორანდუმი, რომელიც პიუს XII-ს მოუწოდებდა, გერმანელების დაუნდობლობის შესახებ არავითარი ცნობები არ დაეჯერებინა. ამ ცნობებს ამ დოკუმენტში „გადაჭარბებულად“ მოიხსენიებდნენ, ხოლო ებრაელებს კი, რომლებიც საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ — „არც ისე პატიოსან ხალხად“.

პიუს XII უარს ამბობდა, ღიად გამოსულიყო ნაციზმის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად ესხმოდნენ თავს. ის მიიჩნევდა რომ ეს „ფეთქებადსაშიში“ იყო. აღმოჩენილ მიმოწერაში პაპი ამბობს, რომ მას ეშინია, „რომ ამას უფრო მეტი ბოროტების მოტანა შეუძლია“. პაპი თავის პოზიციას ყოველთვის გაურკვევლად გამოხატავდა და მხოლოდ ომის მიმართ სიძულვილისა და უმცირესობების დაცვის შესახებ საუბრობდა.

პირველად პიუს XII-ს ნაცისტებთან ურთიერთობამ ჯერ კიდევ მაშინ მოუწია, როცა ვატიკანის დიპლომატი იყო. ამბობენ, რომ მან ეკლესიაში გარკვეული პოლიტიკური ინტერესები გაანელა და, ამასთანავე, ჰიტლერული ძალებისგან ეკლესიის დაცვა უზრუნველყო. ამან ძალიან ბევრი კითხვა გააჩინა ვატიკანსა და ფაშისტურ რეჟიმს შორის სამუშაო ურთიერთობების ხასიათის შესახებ. პიუს XII პაპი ომამდე ექვსი თვით ადრე გახდა და არაფერი უთქვამს, როცა 1939 წელს ჰიტლერმა პოლონეთის ოკუპაცია მოახდინა.

ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, რომ პიუსი იმიტომ იყო ჩუმად, რომ ეშინოდა, ყველა იმ ქვეყნის კათოლიკე არ ჩაეგდო საფრთხეში, რომლებსაც ნაცისტები აკონტროლებდნენ. გერმანიაში კათოლიკეები გერმანელ ქრისტიანებს შორის უმცირესობას შეადგენდნენ.

იყო მოსაზრებები იმის შესახებაც, რომ პიუსი ნაცისტებს ღიად არ კიცხავდა იმის გამო, რომ ნაცისტურ გერმანიაში ის ქრისტიანებსა და კომუნისტებს შორის ბარიერს ხედავდა. პონტიფიკოსის ქმედებების მოტივების ახსნას ისტორიკოსები შეძლებენ, როდესაც არქივების შესწავლას დაასრულებენ; გაარკვევენ, რატომ იქცეოდა ის ამგვარად და არა სხვაგვარად და რა დისკუსიები მიმდინარეობდა ვატიკანის კედლებს მიღმა?

მრავალი ფაქტორის გამო, პიუს XII-ის მემკვიდრეობის შესწავლა მნიშვნელოვანი საქმეა; ის დოკუმენტები, რომლებიც ამ პერიოდს შეეხება, მილიონობით ფურცელს მოიცავს და თემების მიხედვით 121 განყოფილებად არის დაყოფილი.

ვატიკანის არქივის გახსნის მცდელობა 1965–1981 წლებში უკვე იყო. მაშინ მასალების 11 ტომი გამოქვეყნდა. ისტორიკოსებმა ჩათვალეს, რომ პუბლიკაციები შერჩევითი იყო და ინფორმაციის მოცულობით უკმაყოფილონი დარჩნენ.

ამავდროულად, პიუს XII-ის ისედაც უკვე საკმაოდ შელახული რეპუტაცია ბეწვზე ჰკიდია. რელიგიისა და სამხედრო კონფლიქტების კავშირის ბევრი საშინელი ისტორიული მაგალითი არსებობს. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ იმის შესახებაც, რამდენი ადამიანი გამოავლინა ომმა, რომლებიც ჭეშმარიტი მორწმუნეები ეგონათ და ამ დროს ნაცისტებთან თანამშრომლობდნენ.

სინამდვილეში რა იმალება იმ პონტიფიკოსის ქმედებების მიღმა, რომლის შესახებაც ისტორიის მანძილზე ყველაზე მეტს მსჯელობენ? საბოლოო პასუხამდე ჯერ კიდევ შორს არის...

**ბელა გველესიანი**
568 901 81 22

# დენდროლოგიური პარკი შეკვეთილში















საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983